მმართველობითი წლიური ანგარიშგება

სს პაშა ბანკი საქართველო

პაშა ბანკი

2024

სარჩევი

მენეჯმენტის განცხადება	3
წინასიტყვაობა აღმასრულებელი დირექტორისგან	5
მნიშვნელოვანი ფინანსური მონაცემები	6
ადამიანური რესურსები	9
ჩვენი თანამშრომლები	9
სწავლა და განვითარება	11
თანამშრომელთა ჩართულობა და კმაყოფილება	11
თანამშრომელთა ანაზღაურება	12
კორპორაციული მართვა	15
კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა	16
კორპორაციული მართვის პრინციპების ერთგულება	16
ეთიკის კოდექსი	17
ღია კარის პოლიტიკა	18
მმართველობის სტრუქტურა	18
სამეთვალყურეო საბჭოს წევრები	20
აქციონერთა სტრუქტურა და სააქციო კაპიტალი	25
აქციონერთა საერთო კრება	26
საკითხები რომელიც მოითხოვს აქციონერთა კრების მიერ დამტკიცებას	26
აქციონერის უფლებები	28
სამეთვალყურეო საბჭო	29
სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის განსაზღვრება	31
სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კრიტერიუმები	32
საბჭოს ეფექტურობის მიმოხილვა	34
სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები	36
სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების დღის წესრიგი	36
სტრატეგია	38
სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები	38
დირექტორთა საბჭო	40
დირექტორთა საბჭოს წევრები	44
დირექტორთა საბჭოს კომიტეტები	48
შიდა აუდიტის დეპარტამენტი	50
ანაზღაურების პოლიტიკა დირექტორებისთვის	50
საბჭოს გადაწყვეტილებისთვის განკუთვნილი საკითხების გრაფიკი	55
რისკი და კონტროლის მექანიზმები	59
რისკის ფუნქცია	62
რისკის აპეტიტი	64
რისკების მართვა და კაპიტალის განაწილება	65
რისკის შერბილების სტრატეგია	71
რისკის ანგარიშგება	72
სტრეს ტესტები და სცენარული ანალიზი	72
ფინანსური მაჩვენებლები	74

მენეჯმენტის განცხადება

სს „პაშა ბანკი საქართველო“-ს დირექტორთა საბჭო ადასტურებს მოცემულ პილარ 3-ის ანგარიშში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიში მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით. აღნიშნული ანგარიში თანხვედრაშია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის N92/04 ბრძანებით დამტკიცებული "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის" მოთხოვნებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ სხვა წესებსა და ნორმებთან.

რამილ იმამოვი

დირექტორთა საბჭოს თავჯდომარე, გენერალური დირექტორი

წინასიტყვაობა აღმასრულებელი დირექტორისგან

2024 წელს პაშა ბანკმა საქართველომ დაიწყო ახალი სტრატეგიული ეტაპი, რომელიც ორიენტირებულია კორპორატიული სეგმენტის გაფართოებეზე. ბანკის მიზანია გახდეს სასურველი ფინანსური პარტნიორი კორპორატიული კლიენტებისთვის, გაუწიოს მათ ინდივიდუალურად მორგებული, მაღალი ხარისხის მომსახურება, და ამავდროულად, ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.
2024 წელი პაშა ბანკი საქართველოსთვის ფინანსური წარმატების წელი იყო, რომლის დროსაც ბანკმა ასახა მნიშვნელოვანი ზრდა მომგებიანობის მხრივ. ბანკის წმინდა მოგებამ 8.3 მლნ ლარი შეადგინა – 388%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით. გარდა ამისა, პაშა ბანკი საქართველოს მთლიანი სასესხო პორტფელი, კორპორატიული ობლიგაციების ჩათვლით, გაიზარდა 439 მლნ. ლარით, რაც წარმოადგენს 6%-იან ზრდას წინა წელთან შედარებით. მომხმარებელთა დეპოზიტების პორტფელი კი 36%-ით გაიზარდა და შეადგინა 394 მლნ ლარი. მოცემული ფინანსური მაჩვენებლები მიუთითებს ბანკისადმი მომხმარებელთა ლოიალურობაზე და საქართველოს ბაზარზე ამყარებს ბანკის პოზიციას, როგორც საიმედო ფინანსური პარტნიორის.
2024 წელს ბანკისთვის მნიშვნელოვანი მიღწევა იყო სტაბილური პერსპექტივით B/B რძელვადიანი და მოკლევადიანი საკრედიტო რეიტინგის, მიღება S&P Global Ratings სააგენტოსგან.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2024 წლის ნოემბერში პაშა ბანკი საქართველომ სტრატეგიული პარტნიორობა გააფორმა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასთან. ეს თანამშრომლობა მიზნად ისახავს ჭადრაკის განვითარებასა და პოპულარიზაციას საქართველოში და ხაზს უსვამს ბანკის მზადყოფნას ინვესტირება მოახდინოს ისეთ სფეროებში, რომლებიც ხელს უწყობს სტრატეგიული აზროვნების, დისციპლინისა და პრობლემების გადაჭრის უნარების გაუმჯობესებას.

ჩვენი აწმყო და მომავალი პროექტები ერთ მიზანს ემსახურება – გავიზარდოთ ერთად, ხელი შევუწყოთ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და წვლილი შევიტანოთ პაშა ჰოლდინგის ფართო მიზნების განხორციელებაში. ჩვენ ვრჩებით სტაბილურობის, საიმედოობისა და მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისის ერთგული. ამავდროულად, ჩვენი ფოკუსია ადამიანურ კაპიტალში ინვესტირება და ბანკის ძირითადი ღირებულებების დაცვა. ბანკის ბიზნეს კულტურა, რომელიც აგებულია პერსონალიზებულ მიდგომაზე და კლიენტებთან ძლიერ ურთიერთობებზე, რჩება ჩვენს უდიდეს ძალად. თანამშრომლების ერთგულებითა და კლიენტების ნდობის შენარჩუნებით, დარწმუნებულნი ვართ ჩვენს შესაძლებლობებში ავაშენოთ მომავალი, რომელიც იქნება მდგრადი, კეთილდღეობის მომტანი და გამძლე.

მნიშვნელოვანი ფინანსური მონაცემები

ქვემოთ მითითებულია სს „პაშა ბანკი საქართველო“-ს ძირითადი მნიშვნელოვანი ფინანსური მონაცემები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, წინა წელთან შედარებით ჭრილში:

მოგება და ზარალი	**2024**	**2023**
	GEL’000	**GEL’000**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების ზარალის შემდეგ	23,668	30,155
არასაპროცენტო შემოსავალი	14,890	11,920
არასაპროცენტო ხარჯები	(34,686)	(40,375)
მოგების გადასახადის სარგებელი/(ზარალი)	4,421	-
წლის წმინდა მოგება	8,293	1,700
სხვა სრული შემოსავალი	-	-
წლის მთლიანი სრული მოგება (ზარალი)	8,293	1,700

ბალანსი	**31 დეკემბერი 2024**	**31 დეკემბერი 2023**
	ლარი’000	**ლარი’000**
ფულადი სახსრები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	242,004	101,575
კლიენტებზე გაცემული სესხები	351,500	336,106
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	81,069	65,230
სხვა აქტივები	32,355	29,461
მთლიანი აქტივები	706,928	532,372
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	148,701	90,139
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	394,286	288,855
სხვა ვალდებულებები	43,333	41,063
მთლიანი ვალდებულებები	586,320	420,057
საკუთარი კაპიტალი	120,608	112,315
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	706,928	532,372

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ განახორციელა ცვლილებები საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდად არის დამოკიდებული ამ რეფორმებსა და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკა მოწყვლადია და მასზე გავლენას ახდენს მსოფლიოში მიმდინარე კრიზისები და ეკონომიკური განვითარების ტემპის შენელება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული წინასწარი შეფასებით, 2024 წლის მშპ-ს ზრდამ 6.7% შეადგინა, საშუალოდ კი 9.5%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით. ზრდის ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორები იყო ფინანსური და სადაზღვევო საქმიანობა, პროფესიული, მეცნიერული, ტექნიკური საქმიანობა, აგრეთვე, ტრანსპორტირება და დასაწყობება, ვაჭრობა, ინფორმაციისა და კომუნიკაციის სფეროები. წლიური ინფლაციის დონე ნარჩუნდება სამიზნე 3%-ის ქვემოთ. სამიზნე მაჩვენებელთან მიახლოებული ინფლაცია ძირითადად უზრუნველყოფილი იყო საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული მონეტარული პოლიტიკით.

გეოპოლიტიკური სიტუაციის უარყოფითი გავლენის მიუხედავად, ხელმძღვანელობა ინარჩუნებს ლიკვიდობის მძლავრ პოზიციებს სებ-ის ღონისძიებების დახმარებით, რომლებიც მიზნად ისახავს კრიზისულ ვითარებაში საბანკო სექტორის მდგრადობის განმტკიცებას. ბანკი აქტიურად ცდილობს უმოქმედო სესხების გონივრულ დონეზე შენარჩუნებას დროული რესტრუქტურიზაციის ღონისძიებებისა და მშობელი საწარმოსგან მიღებული მხარდაჭერის წყალობით, ასევე სესხების ამოღების მკაცრი ზომებით. ბანკი მუდმივად აკვირდება და აფასებს მიკრო და მაკროეკონომიკური მოვლენების ცვლილების გავლენას მის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე.



ადამიანური რესურსები

ჩვენი თანამშრომლები

სს პაშა ბანკი საქართველო უნიკალური კულტურის მქონე სამუშაო ადგილია. აქ ჩვენ ვქმნით სამუშაო გარემოს, რომელიც მორგებულია ჩვენს გამორჩეულ თანამშრომლებზე, რადგან გვჯერა, რომ სწორედ ისინი წარმოადგენენ ბანკის ყველაზე მნიმვნელოვან აქტივს. ჩვენ მხარს ვუჭერთ თანამშრომლებს მათ პროფესიულ განვითარებაში, ვახდენთ ინიციატივების წახალისებას, ხელს ვუწყობთ როგორც გამჭირვალე თანამშრომლობას, ასევე სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსის შენარჩუნებას.

2024 წელს ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება შეეწყვიტა მასობრივი საცალო დაკრედიტება, რამაც თანამშრომელთა რაოდენობის მასობრივი შემცირება გამოიწვია. ახალი სტრატეგიული მიმართულების გათვალისწინებით, რომელიც ფოკუსირებულია კორპორაციულ ბიზნესზე, ჩვენ შევიმუშავეთ ინიციტივები, რომლებიც სრულად შესაბამისობაშია ბანკის საერთო მიზნებთან. 2024-2026 წლების სტრატეგიული პერიოდის ფარგლებში, ორგანიზაციული განვითარება ბანკისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება. ჩვენი მიდგომა ემყარება საკანონმდებლო რეგულაციებთან შესაბამისობაში დარჩენასა და ამავდროულად, პოზიტიური ორგანიზაციული კულტურის ხელშეწყობას, ტალანტების მოზიდვის, განვითარებისა და შენარჩუნების მიზნით.













სწავლა და განვითარება

სს “პაშა ბანკი საქართველო”-ში დიდ ძალისხმევას ვდებთ ჩვენი თანამშრომლების განვითარებაში. ვაღიარებთ, რომ ჩვენი წარმატება დამოკიდებულია მათ ზრდასა და განვითარებაზე. ბანკის სწავლებასთან დაკავშირებული კულტურა თანამშრომლებს აძლევს საშუალებას შეიძინონ სხვადასხვა პროფესიული უნარები და გააფართოონ თავიანთი შესაძლებლობები. თანამშრომლებს შეუძლიათ ისარგებლონ სწავლების სხვადასხვა საშუალების დაფინანსებით: ონლაინ, ადგილობრივი და საერთაშორისო ტრენინგები, საერთაშორისო პროფესიული სერტიფიცირება, უცხო ენების კურსები და ა.შ.
2024 წელს პაშა ბანკის სტაჟირების პროგრამა დარჩა ახალგაზრდა ნიჭის განვითარების ერთ-ერთ საშუალებად. სტაჟიორთა 25% წარმატებით გადავიდა სრულ განაკვეთზე და დასაქმდა ბანკში არსებულ სხვადასხვა პოზიციაზე.

დატრენინგებული/გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (2024)	121
თანამშრომელთა სასწავლო საათების ჯამური რაოდენობა (2024)	9,531
სასწავლო საათების საშუალო საათობრივი მაჩვენებელი ერთ თანამშრომელზე (2024)	78

თანამშრომელთა ჩართულობა და კმაყოფილება

პაშა ბანკის მიზანია შექმნას ისეთი სამუშაო გარემო, რომელიც ზრდის თანამშრომელთა ჩართულობას, ორიენტირებულია კოლეგების მხარდაჭერასა და კოლაბორაციაზე. რადგანაც გვჯერა თანამშრომელთა ჩართულობის მნიშვნელობის, 2024 წელს ჩავატარეთ რამდენიმე კვლევა ამ მიმართულებით, კერძოდ თანამრომელთა ჩართულობის 2 კვლევა, რომელთა მიზანი ამ მხრივ მიმდინარე მდგომარეობისა და უკვე შემდგომი პროგრესის გაზომვა იყო. გარდა ამისა, თანამშრომლების ჩართულობისა და ღია დიალოგის ხელშეწყობის ძალისხმევის ფარგლებში, ჩვენ დავიწყეთ ცალკეულ მიმართულებებთან შეხვედრების სტრუქტურირებული სერია, სადაც თანამშრომლებს მიეცათ შესაძლებლობა ამ პლატფორმითაც გაეზიარებინათ თავიანთი შეხედულებები, იდეებისა და საზრუნავები. 2024 წლის განმავლობაში ფოკუს ჯგუფებთან თანამშრომლობის შედეგად, მიზნობრივი სამოქმედო გეგმა შემუშავდა და დაუყოვნებლივ დავიწყეთ ძირითადი ინიციატივების განხორციელება.

ჩვენ გვჯერა, რომ თანამშრომლთა ჩართულობისა და კმაყოფილების ზრდისთვის, ისევე როგორც ჯანსაღი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებისთვის, თითოეული თანამშრომლის როლი უმნიშვნელოვანესია, წვლილი კი - ფასდაუდებელი.

ჩვენი მიზანია, სს ‘პაშა ბანკი საქართველო“ გახდეს სასურველი დამსაქმებელი კარიერის სხვადასხვა ეტაპზე მყოფი პროფესიონალებისთვის. ჩვენი ამოცანაა, შევქმნათ გარემო, სადაც როგორც ახალგაზრდა, აგერეთვე გამოცდილი პროფესიონალები შეძლებენ საერთო საქმეში წვლილის შეტანას და როგორც პიროვნულად, აგრეთვე პროფესიულად განვითარებას.

თანამშრომელთა ანაზღაურება

სს პაშა ბანკი საქართველოს თანამშრომელთა ანაზღაურების სისტემა უზრუნველყოფს სამართლიან, თანმიმდევრულ და კონკურენტუნარიან ანაზღაურებას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ტალანტების მოზიდვას, მოტივირებასა და შენარჩუნებას.

ბანკი მოქმედებს თანამშრომელთა ანაზღაურების პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ დოკუმენტს. ბანკის ანაზღაურების სისტემა უზრუნველყოფს, რომ კონტროლის ფუნქციების მქონე თანამშრომლების (რისკების მართვა, შესაბამისობა და შიდა აუდიტის ფუნქციები) ანაზღაურების სქემა არ ზღუდავს ამ თანამშრომლების დამოუკიდებლობას. კონტროლის ფუნქციების მქონე თანამშრომლების ანაზღაურება არ არის დამოკიდებული იმ ბიზნეს მიმართულების ფინანსურ შედეგებზე, რომლებსაც ისინი აკონტროლებენ ან მონიტორინგს უწევენ.

ფიქსირებული და ცვლადი ანაზღაურება ბენეფიტებთან ერთად, ბანკის ანაზღაურების სისტემის შემადგენელი ნაწილებია. ფიქსირებული ანაზღაურება თანამშრომლებისთვის გაიცემა ყოველთვიურად, ხელფასის სახით; ცვლადი ანაზღაურება არის დამატებითი, თანამშრომლის მიერ სამუშაოს შესრულებაზე დამოკიდებული ელემენტი, რომლის გადახდაც განსხვავებული პერიოდულობით ხდება.

ბანკში ინდივიდუალური ანაზღაურება განისაზღვრება თანაბარი ანაზღაურების პრინციპით და მიზნად ისახავს მსგავსი სამუშაოებისთვის თანაბარი ანაზღაურების შესაძლებლობების უზრუნველყოფას. ფიქსირებული ანაზღაურების განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება შემდეგი კომპონენტები: პოზიციის სახელფასო დიაპაზონი, პოზიციის გრეიდი, ინდივიდუალური ცოდნა/გამოცდილება და ბაზრის უახლესი ტენდენციები. ბანკი იყენებს მსოფლიოში აღიარებულმა Korn Ferry Hey ჯგუფის მიერ შემუშავებულ სახელფასო დიაპაზონის და პოზიციის გრეიდინგის მეთოდოლოგიას.

პაშა ბანკში არსებული ყველა პოზიცია ითვალისწინებს ცვლად ანაზღაურებას. საბონუსე სისტემა სამუშაოს შესრულებაზეა დამოკიდებული და დამოკიდებულია შესაბამის საბონუსე მეთოდოლოგიაზე, რომელიც განხვავებულია ფუნქციების მიხედვით. ამასთან, ბანკში თანამშრომლის მიერ სამუშაოს შესრულება ყოველწლიურად ფასდება უშუალო ხელმძღვანელის მიერ, დამტკიცებული შესრულების მართვის მეთოდოლოგიისა და შესრულების მართვის პროცედურის მიხედვით.

ბანკი ბაზარზე ინარჩუნებს წამყვან პოზიციას, სთავაზობს რა თავის თანამშრომლებს სხვადასხვა ტიპის ბენეფიტს. ბენეფიტების სქემა მოიცავს - ჯანმრთელობის დაზღვევას თანამშრომლებისა და მათი უშუალო ოჯახის წევრებისთვის, სპორტის დაფინანსებას, პროფესიული ლიტერატურის დაფინანსებას, საერთაშორისო პროფესიული სერტიფიცირების გამოცდისა და საწევრო საფასურებს, სხვადასხვა სასწავლო აქტივობის ანაზღაურებას, სრულად დაფარულ დეკრეტულ შვებულებას და სხვ.

თანამშრომელთა კეთილდღეობისა და პროფესიული ზრდისადმი აღებული პასუხისმგებლობით, ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ მხარდამჭერი და დინამიური სამუშაო გარემო, რომელიც ხელს უწყობს ჩვენს ერთობლივ, გრძელვადიან წარმატებას.

კორპორაციული მართვა

სს პაშა ბანკი საქართველო ერთგულია კორპორაციული მართვის მაღალი სტანდარტებისა და აცნობიერებს კორპორაციული მართვის პრაქტიკის მნიშვნელობას ბანკის წარმატების ზრდისა და აქციონერთა გრძელვადიანი ღირებულების შესაქმნელად.

კორპორაციული მართვა განიმარტება, როგორც ბანკის მართვისა და ზედამხედველობისათვის განკუთვნილი სტრუქტურებისა და პროცესების ერთობლიობა. სს პაშა ბანკი საქართველო მუდმივად შეიმუშავებს პოლიტიკისა და სისტემების კომპლექსურ სპექტრს, ყველა შიდა და გარე პროცესის ეფექტური ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველსაყოფად. კორპორაციული მართვის ჯანსაღი სისტემა წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს საქართველოში კანონის უზენაესობის დამკვიდრებაში და ბანკის როლის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს თანამედროვე ეკონომიკასა და საზოგადოებაში.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

2024 წლის 6 ნოემბერს სს პაშა ბანკი საქართველომ და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ ხელი მოაწერეს პარტნიორობის ხელშეკრულებას. ჭადრაკის განვითარებისა და პოპულარიზაციის მხარდაჭერა 2024 წელს ბანკის კორპორატიული სოციალური პასუხიმგებლობის პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი ინიციატივაა. ამ პარტნიორობის მიზანია ჭადრაკის სწავლების სტანდარტებისა და მეთოდების გაუმჯობესება, ახლაგაზრდა მოჭადრაკეების განვითარების ხელშეწყობა და ზოგადად ჭადრაკის პოპულარიზაცია ბავშვებსა და მოზარდებში.

გარდა ამისა, ბანკი უკვე ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში რჩება გარემოსდაცვითი მდგრადობის ინიციატივების ერთგული და აქტიურად არის ჩართული ნარჩენების გადამუშავების პროგრამაში. ბანკი თანამშრომლებს უზრუნველყოფს ქაღალდის ერთჯერადი ჭურჭლით და ხელს უწყობს ქაღალდისა და პლასტმასის ნარჩენების, მოძველებული ელექტრონული მოწყობილობებისა და ელემენტების შეგროვებას, გადახარისხებასა და შემდგომ მათ ჩაბარებას სპეციალიზებული გადამამუშავებელი კომპანიებისთვის. დამატებით, ბანკი მხარს უჭერს განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტიანობის ინიციატივებს მიმართული სესხების დაფინანსებას.

კორპორაციული მართვის პრინციპების ერთგულება

სს პაშა ბანკი საქართველო მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს მმართველობის სტანდარტები, ყოველთვის შესაბამისობაში იყოს საქართველოს კანონმდებლობასთან და გაითვალისწინოს და გამოიყენოს სამეთვალყურეო საბჭოს ინიციატივები, რომლებიც მიმართულია კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვისკენ.

კორპორაციული მართვის საუკეთესო სტანდარტებისადმი ერთგულების სადემონსტრაციოდ ბანკი შეიმუშავებს და ანვითარებს ქვემოთ ჩამოთვლილს:

- პასუხისმგებელი, ანგარიშვალდებული და ღირებულებაზე დაფუძნებული მენეჯმენტი;
- ეფექტიანი საზედამხედველო და აღმასრულებელი ორგანოები, რომლებიც მოქმედებენ ბანკის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ინარჩუნებენ მზარდ აქციონერულ ღირებულებას;
- ინფორმაციის სათანადო გამჟღავნება და გამჭვირვალობა, ასევე რისკების მართვისა და შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა.

ბანკი პატივს სცემს და აღიარებს კორპორაციული მართვის ყველა ზოგად პრინციპს:

- სამართლიანობა: ბანკი მოწოდებულია იმოქმედოს სამართლიანად და ეთიკურად ყველა აქციონერისა და დაინტერესებული მხარის მიმართ, რადგან მიაჩნია, რომ ეთიკური ქცევა საფუძვლად უდევს კარგ კორპორაციულ მმართველობას.

- ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა: სამეთვალყურეო საბჭო ანგარიშვალდებულია აქციონერების წინაშე იმაზე, თუ როგორ ასრულებს იგი თავის პასუხისმგებლობას. ანალოგიურად, დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია მისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებაზე და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე მიღწეულ შედეგებზე და შესრულებაზე.

- გამჭვირვალობა: ბანკი მოწოდებულია უზრუნველყოს აქციონერებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ზუსტი და გასაგები ინფორმაციის მიწოდება ბანკთან დაკავშირებულ ყველა არსებით საკითხზე, მათ შორის, მის ფინანსურ მდგომარეობაზე, შესრულებაზე, და საკუთრებისა და მმართველობის სტრუქტურაზე ისე, რომ ინფორმაცია მარტივად იყოს ხელმისაწვდომი დაინტერესებული მხარეებისთვის, კომერციულად სენსიტიური ინფორმაციის გაცემის გარეშე.

საფინანსო სექტორის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანოს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის № 215/04 ბრძანებით 2018 წლის 26 სექტემბერს დამტკიცდა და დაინერგა კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსი.

კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის მიზანია კომერციული ბანკებისთვის ძირითადი კორპორაციული მართვის პრინციპების განსაზღვრა, ეფექტური და ჯანსაღი კორპორაციული მმართველობის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს უწყობს საფინანსო და საბანკო სექტორების წარმატებულ ფუნქციონირებას და სტაბილურობას. კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები სავალდებულოა კომერციული ბანკებისთვის.

ბანკმა მიიღო კოდექსის გაიდლაინები და დაცული აქვს მისი მოთხოვნები.

ეთიკის კოდექსი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და დირექტორთა საბჭო, ისევე როგორც ბანკის ყველა თანამშრომელი, უნდა მოქმედებდნენ ყველა მოქმედი კანონმდებლობისა და დებულების შესაბამისად და იცავდნენ ბანკის ეთიკის კოდექსით განსაზღვრულ საქმიანი ქცევის ეთიკურ სტანდარტებს.

ბანკის ეთიკის კოდექსი არის იმ პრინციპების ერთობლიობა, რომლებიც აქტიურად გამოიყენება ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაში. ბანკის ეთიკური პრინციპები ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:

კეთილსინდისიერება – კეთილსინდისიერება ჩვენი ბიზნესის საფუძველია. ჩვენთვის ეს ნიშნავს იმის კეთებას, რაც სწორია. ყოველთვის. გამუდმებით. მაშინაც კი, როცა ვერავინ გვხედავს. ეს, ყველაზე ძირითად დონეზე, არის იმ ქვეყნის კანონებისა და რეგულაციების პატივისცემა, რომელშიც ჩვენ ვოპერირებთ. მთავარია, დავიცვათ ჩვენი კომპანიის ქცევის კოდექსი, გამოწვევების წინაშეც კი. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიის ინტერესები არასოდეს შეეწირება პირად სარგებელს. ეს ნიშნავს გულწრფელობას საკუთარ თავთან, კოლეგებთან, კლიენტებთან და პარტნიორებთან, და მათი ნდობის მოპოვებას.

ხარისხი – გარე სამყარო ჩვენ ყოველთვის შეგვაფასებს პროდუქტის ან მომსახურების ხარისხის მიხედვით. ჩვენი მუშაობის ხარისხი კი ჩვენი თანამშრომლების თავდადებისა და პროფესიონალიზმის პირდაპირპროპორციულია. სხვა გზა არ არსებობს. სწორედ ამიტომ, ჩვენ ყოველთვის ვიცავთ ჩვენს მიერ დაწესებულ სტანდარტებს. სწორედ ამიტომ, ჩვენ ვასრულებთ იმას, რასაც გპირდებით, – დღითიდღე – ყურადღებით ვაბალანსებთ ხარისხსა და ეფექტურობას ოპტიმალური შედეგების მისაღწევად. სწორედ ამიტომ, ჩვენ არ გავურბივართ სიახლეებს და ვცდილობთ ვისწავლოთ და გავუმჯობესდეთ – როგორც პიროვნებები და როგორც ორგანიზაცია.

მომგებიანობა – ჩვენ ვქმნით სარგებელს როგორც ჩვენი აქციონერებისათვის, ასევე საზოგადოების საკეთილდღეოდაც. ამის მიღწევა მხოლოდ კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნებით შეგვიძლია. ჩვენი პერსონალი აცნობიერებს, რომ ღირებულება იქმნება არა მხოლოდ ყველა გამომუშავებული დოლარიდან, არამედ ყველა დაზოგილი დოლარიდანაც. თუმცა, მოკლევადიანი ბიზნეს მიზნებისკენ სწრაფვაში ჩვენ არასდროს ვივიწყებთ ჩვენს გრძელვადიან მიზანს – შევქმნათ და შევინარჩუნოთ მდგრადი გლობალური ბიზნესი. და ეს მისწრაფება განაპირობებს ყველა სტრატეგიულ გადაწყვეტილებას.

თანამშრომლობა – როდესაც ერთ გუნდად ვმუშაობთ დეპარტამენტების, ბიზნეს ერთეულებისა და ქვეყნების მასშტაბით, ჩვენ ფენომენალურ შედეგებს ვიღებთ. კლიენტებთან, პარტნიორებთან და მომწოდებლებთან თანამშრომლობისას ჩვენ ბევრად ვაჭარბებთ ბაზარზე არსებულ მოლოდინებს. ამ სინერგიის გავლენა ბევრად აღემატება ნებისმიერ პიროვნულ წვლილს. ერთობლივი მუშაობა ქმნის ჯანსაღ სამუშაო გარემოს და განაპირობებს მაღალ ეფექტიანობას. ეს აჩქარებს პრობლემის გადაჭრას და შესაძლებელს ხდის ინოვაციას. ეს ზრდის ნდობასა და პატივისცემას.

მეწარმეობა – ჩვენს გარშემო სამყარო მუდმივად იცვლება, ამიტომ ხშირად გვიწევს გაურკვევლობის პირობებში მოქმედება. ჩვენ ვეძებთ ახალ შესაძლებლობებს და მზად ვართ გადავდგათ თამამი ნაბიჯები – ვაკეთოთ საქმეები და წავიდეთ იმ ადგილებში, სადაც სხვები ვერ ბედავენ. ჩვენ კი არ ვუფრთხით გამოწვევებს, არამედ აღვიქვამთ მათ, როგორც ზრდის შესაძლებლობებს. ჩვენ არ გვეშინია პირადი პასუხისმგებლობის აღება დამატებითი მანძილის გასავლელად ან რაიმე ახლის გასაკეთებლად. ჩვენი თანამშრომლები კომპანიას ეპყრობიან მზრუნველობით, გრძნობით, გონიერებით – ისევე, როგორც ისინი მოექცეოდნენ საკუთარ ბიზნესს.

ეთიკის კოდექსი აწესებს შემდეგ მოთხოვნებს:

- პროფესიული რეპუტაციის შენარჩუნება.

- პატიოსანი და ეთიკური ქცევის უმაღლესი სტანდარტები, მათ შორის პირადი და პროფესიული ურთიერთობების ინტერესთა კონფლიქტის მოგვარების სათანადო და ეთიკური პროცედურები.

- მონაცემთა სრული, სამართლიანი, ზუსტი, დროული და გასაგები ასახვა ანგარიშებსა და დოკუმენტებში, რომლებსაც სს „პაშა ბანკი საქართველო“ წარუდგენს ან აბარებს სამთავრობო და მარეგულირებელ უწყებებს და ბანკის სხვა საჯარო ურთიერთობის ადრესატებს.

- მთავრობის მოქმედი კანონების, წესებისა და რეგულაციების დაცვა.

- კოდექსის დარღვევის ან ნებისმიერი უკანონო ქცევის შესახებ შიდა შეტყობინების სწრაფი მიწოდება.

- კოდექსის დარღვევების შესახებ შეტყობინების მეთოდების უზრუნველყოფა.

ღია კარის პოლიტიკა

ეთიკის კოდექსი მოიცავს ღია კარის პოლიტიკას, რომელიც ბანკის თითოეულ თანამშრომელს აძლევს საკმაო შესაძლებლობას დასვას შეკითხვები და მიიღოს კონსულტაცია, თუ ის არ არის დარწმუნებული, არღვევს თუ არა მისი საქციელი ეთიკის კოდექსის სულისკვეთებას, და გამოთქვას შეშფოთება, თუ მიიჩნევს, რომ ჩვენი ეთიკის კოდექსი დაირღვა.

სს პაშა ბანკი საქართველო ცდილობს გააძლიეროს როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებული მხარეების ნდობა ბანკის კორპორაციული მართვისა და ეთიკური სტანდარტების მიმართ, რათა ნებისმიერ შიდა დაინტერესებული მხარის არაეთიკური და უკანონო ქცევა უყურადღებოდ არ დარჩეს.

მმართველობითი სტრუქტურის ნებისმიერ წევრს, რომელსაც გაუჩნდება რაიმე არსებითი შეშფოთება ბანკის საერთო კორპორაციული მართვის შესახებ, შეუძლია შეატყობინოს სამეთვალყურეო საბჭოს.

ეთიკის კოდექსი შემუშავებულია კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

ეთიკის კოდექსის დოკუმენტის ნახვა შესაძლებელია პაშა ბანკის ვებგვერდზე www.pashabank.ge

მმართველობის სტრუქტურა

სს „პაშა ბანკი საქართველოს“ მმართველობის სტრუქტურა ადეკვატურად შეესაბამება მის საქმიან ხასიათს, მასშტაბს და კომპლექსურობას. ბანკის ორგანიზაციული და კორპორაციული სტრუქტურა გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და უზრუნველყოფს, რომ არავის ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღების განუსაზღვრელი უფლება.

სს პაშა ბანკი საქართველოს აქვს კორპორაციული მართვის ორდონიანი სტრუქტურა - სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც მთლიანად შედგება არააღმასრულებელი დირექტორებისგან და რომელიც პასუხისმგებელია ბანკის ზედამხედველობაზე, და დირექტორთა საბჭო (მმართველი საბჭო), რომელიც მთლიანად შედგება აღმასრულებელი დირექტორებისგან და რომელიც პასუხისმგებელია ბანკის ყოველდღიურ მართვაზე.

2024 წლის 24 აპრილს ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც გადაწყვეტილებით ძალაში შევიდა 2024 წლის, 2 მაისს. ცვლილებების დეტალური აღწერა მდგომარეობს შემდეგში:

დამტკიცდა პაშა ბანკი საქართველოს საცალო ბანკინგის დირექტორის და დირექტორთა საბჭოს წევრის თანამდებობიდან გადადგომა.

მთავარი ოპერაციული ოფიცრის და დირექტორთა საბჭოს წევრის დანიშვნა.

ბანკის ახალი სტრატეგიის შესაბამისად, შეჩერდა საცალო საბანკო ოპერაციები, რის შედეგადაც დაიხურა შესაბამისი დეპარტამენტები.

დეპარტამენტთა რესტრუქტურიზაცია:
- გაიყო იურიდიული და შესაბამისობა &AML დეპარტამენტი.
- ბუღალტერიის და ბიუჯეტირების, რეპორტინგის და სტრატეგიის მართვის დეპარტამენტები გაერთიანდა ფინანსური მენეჯმენტის დეპარტამენტში

ახალი როლის დაფუძნება:
- დირექტორთა საბჭოს წევრი – მთავარი კომერციული ოფიცერი.

პასუხისმგებლობა: კორპორაციული ბანკინგის, კომერციული ბანკინგის და სავაჭრო ფინანსების დეპარტამენტების ზედამხედველობა.





სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

როვშან ალლაჰვერდიევი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

როვშან ალლაჰვერდიევი არის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე 2023 წლის 12 სექტმებრიდან.

გამოცდილება

მან კარიერა Khayal Cooperative Bank-ის წამყვან სპეციალისტად 1992 წელს დაიწყო. იმავე წელს მუშაობდა Garagayabank-ის კომერციულ ბანკში და გახლდათ წამყვანი სპეციალისტი და მთავარი ბუღალტერი.

ის შეუერთდა Arkobank JSB-ს 1996 წელს, როგორც მთავარი ბუღალტრის მოადგილე და იყო ფინანსური დირექტორი და აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე.

ბ-ნი ალლაჰვერდიევი Zamin Commercial Bank-ს, როგორც საკრედიტო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე 2002 წელს შეუერთდა, შემდეგ კი საფინანსო-საკრედიტო დეპარტამენტის დეპარტამენტის დირექტორისა და კავკასიის განვითარების ბანკის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის პოზიციას იკავებდა.

2003-2006 წლებში იგი მუშაობდა ტექნიკაბანკში ფილიალის მენეჯერად, 2006-2007 წლებში კაპიტალ ბანკში ფილიალის მენეჯერად და 2007-2013 წლებში პაშა ბანკის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილედ. 2013 წლის 11 ივნისიდან 2023 წლის მაისამდე მუშაობდა სს „კაპიტალ ბანკში“ აღმასრულებელი დირექტორისა და აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. 2023 წლის 05 მაისს ბ-ნი ალლაჰვერდიევი PASHA Holding-ის კორპორატიული ბანკინგისა და დაზღვევის განყოფილებაში აღმასრულებელი დირექტორის მოადგილედ დაინიშნა. ის არის პაშა ჯგუფის კომპანიების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და თავმჯდომარე. როვშან ალლაჰვერდიევი პაშა ბანკ საქართველოს, როგორც საბჭოს წევრი 2023 წლის 12 სექტემბერს შეუერთდა.

განათლება

როვშან ალლაჰვერდიევმა აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის ეკონომიკისა და შრომის სოციოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა.

გიორგი ღლონტი

სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრი

გიორგი ღლონტი არის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი 2018 წლის 31 დეკემბრიდან. იგი ასევე არის აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე და რისკების მართვის კომიტეტის წევრი.

გამოცდილება

გიორგი ღლონტმა საბანკო კარიერა დაიწყო 1992 წელს, როგორც საერთაშორისო ოპერაციებისა და დოკუმენტური ტრანზაქციების დეპარტამენტის ასისტენტმა იბერია ბანკში. გიორგი ღლონტი ამავე დეპარტამენტის ხელმძღვანელი გახდა 1994 წელს და ეს თანამდებობა ეკავა 1995 წლამდე. 1995-1996 წლებში მუშაობდა თიბისი ჯგუფისა და ალმა თიბისის ფინანსურ დირექტორად. ამავე დროს, ის ასევე იყო თიბისი ბანკის დირექტორთა საბჭოს და საკრედიტო კომიტეტის წევრი. 1996-1999 წლებში ეკავა საერთაშორისო განყოფილების უფროსის თანამდებობა თბილუნივერსალბანკში. 1999-2003 წლებში გიორგი ღლონტი იყო PwCსთან ასოცირებული კომპანიის UBC International Ltd-ის (აუდიტი და კონსალტინგი) მმართველი პარტნიორი, აღმასრულებელი დირექტორი და აქციონერი. 2003-2005 წლებში იყო საქართველოს სახალხო ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე. 2005-2008 წლებში გიორგი ღლონტი გახდა საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი და სებ-ის საბჭოს წევრი. 2008-2009 წლებში იყო საქართველოს სახალხო ბანკის (ამჟამად „ლიბერთი”) გენერალური დირექტორი. 2009 წელს გახდა კორსტანდარტ ბანკის (ამჟამად “ტერა ბანკი”) გენერალური დირექტორი და იკავებდა ამ თანამდებობას 2013 წლამდე. 2013-2014 წლებში გიორგი ღლონტი იყო „ფენიქს კაპიტალის“ მმართველი პარტნიორი და აღმასრულებელი დირექტორი. 2014 წლიდან, მან გააგრძელა კარიერა სუპერ ტვ საკაბელო ტელევიზიის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე. 2014 წლიდან დღემდე, იგი იკავებდა GFTC-ის (SWIFT Service Bureau) არა აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას. 2018 წელს გახდა RSM Georgia Management & Consulting-ის მმართველი პარტნიორი. გიორგი ღლონტს აქვს ოცდათერთმეტ წელზე მეტი გამოცდილება საბანკო და ბიზნეს მენეჯმენტში.

განათლება

გიორგი ღლონტმა მიიღო ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხი ფინანსებსა და ეკონომიკაში, საბანკო საქმის სპეციალობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოში

ებრუ ოღან კნოტნერუს

სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

ებრუ ოღან კნოტნერუსი სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრია 2018 წლის 31 დეკემბრიდან. იგი ასევე არის რისკების მართვის კომიტეტის თავმჯდომარე და აუდიტის კომიტეტის წევრი.

გამოცდილება

ებრუ ოღან კნოტნერუსმა საბანკო კარიერა დაიწყო 1991 წელს ფამუქბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტში. 1993-1997 წლებში მუშაობდა FINANSBANK-ის ფინანსური კონტროლისა და ბიუჯეტის დაგეგმვის მენეჯერად. 1997-1999 წლებში მუშაობდა DEMIRBANK-ის უცხოური ინვესტიციების დეპარტამენტში მენეჯერის თანამდებობაზე. 1999 წელს ებრუ ოღან კნოტნერუსი გადავიდა ოტომან ბანკში და 2001 წლამდე მუშაობდა რისკების მართვისა და შიდა კონტროლის დეპარტამენტების ხელმძღვანელად.

2001-2003 წლებში, მან პროფესიული კარიერა BBVA Group - GARANTI Bank-ში განაგრძო, შვილობილი კომპანიების რისკების მენეჯმენტის დეპარტამენტის ხელმძღვანელად. 2016 წლიდან 2018 წლამდე კი კომპანიის რისკების მენეჯმენტის დეპარტამენტის მმართველის პოზიციას იკავებდა.

2018 წელს ებრუ ოღან კნოტნერუსი შეუერთდა პაშა ინვესტმენტ ბანკს თურქეთში, როგორც საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. ებრუ ოღან კნოტნერუსს აქვს ოცდათორმეტ წელზე მეტი გამოცდილება საბანკო და ბიზნეს მენეჯმენტში

განათლება

ებრუ ოღან კნოტნერუსს ბაკალავრის ხარისხი ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით, თურქეთში, ანკარის შუა აღმოსავლეთის ტექნიკურ უნივერსიტეტში (METU) მიენიჭა. მას არაერთი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა აქვს გავლილი, მათ შორის: ავთენტური მართვის განვითარების პროგრამა ჰარვარდის ბიზნეს სკოლაში, სტრატეგიული განვითარების პროგრამა ლონდონის ბიზნეს სკოლაში და მაღალეფექტური ლიდერობის პროგრამა კოლუმბიის უნივერსიტეტში, აშშ.

შაჰინ მამმადოვი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

შაჰინ მამმადოვი არის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2018 წლის 30 აპრილიდან. იგი ასევე არის აუდიტის კომიტეტისწევრი.

გამოცდილება

ბატონი მამმადოვის კარიერა დაიწყო 2003 წელს ბუღალტრის პოზიციაზე მუშაობით, მოგვიანებით ის დააწინაურეს Yapi Kredi Bank აზერბაიჯანის (ყოფილი Kochbank Azerbaijan JSB) მთავარი ბუღალტრის მოადგილედ. იგი შეუერთდა დელოიტსა და ტუშს 2005 წელს, როგორც ასოცირებული აუდიტორი და შემდგომში დაწინაურებულ იქნა აუდიტის მენეჯერის თანამდებობაზე.

2009 წელს ბ-ნი მამმადოვი გადაყვანილ იქნა ფინანსური მართვის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე ფაშა ბანკის სათაო ოფისში და 2011 წელს გახდა ფინანსური დირექტორი და აღმასრულებელი საბჭოს წევრი. 2013 წელს ის შეუერთდა პაშა ბანკი საქართველოს დირექტორთა საბჭოს და ზედამხედველობდა ბიზნესის განვითარების განყოფილებას. 2014 წლის ივლისში ბ-ნი მამმადოვი დაინიშნა პაშა ბანკ საქართველოს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ და გენერალურ დირექტორად. 2015 წლის მარტიდან შაჰინ მამმადოვი არის PASHA Yatırım Bankası A.Ş.-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2018 წლის იანვრიდან იგი არის შპს „ფაშა ჰოლდინგის“ ბიზნესის მხარდაჭერის დირექტორი და გენერალური დირექტორის მოადგილე. 2018 წლის 1 მარტს შაჰინ მამმადოვი გახდა ღსს ფაშა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. შაჰინ მამმადოვს აქვს ოც წელზე მეტი ხნის გამოცდილება საბანკო და ბიზნეს მენეჯმენტში.

განათლება

შაჰინ მამმადოვმა დაამთავრა აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტი და მიიღო ბაკალავრის ხარისხი ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტში 2002 წელს. 2004 წელს მან მიიღო მაგისტრის ხარისხი იმავე უნივერსიტეტში. 2010 წელს ბატონმა მამმადოვმა მიიღო ეკონომიკის დოქტორის ხარისხი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიიდან.

2013 წელს ფაშა ჰოლდინგის მიერ ორგანიზებული მაღალი პოტენციალის ლიდერთა პროგრამის ფარგლებში მან წარმატებით გაიარა რამდენიმე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა სხვადასხვა ბიზნეს სკოლაში. 2012 წელს შაჰინ მამმადოვი ჩაირიცხა ჰარვარდის ბიზნეს სკოლაში ლიდერობის განვითარების პროგრამაში (Executive Education Program) და გაიარა მოდულები 1-დან 4-მდე 2013 წელს. 2017 წელს გაიარა ამავე პროგრამის მე-5 მოდული. ბატონმა მამმადოვმა ჰარვარდის ბიზნეს სკოლის კურსდამთავრებულის სტატუსი მიიღო 2017 წლის ივლისში. იგი არის სერტიფიცირებულ დიპლომირებულ ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) წევრი 2014 წლიდან.

კამალა ნურიევა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

კამალა ნურიევა სამეთვალყურეო საბჭოს წევრია 2023 წლის 12 სექტმბრიდან. ის ასევე არის რისკების მართვის კომიტეტის წევრი.

გამოცდილება

2003 წელს შეუერთდა სოფლის მეურნეობის საინვესტიციო ფონდს სესხის ოფიცრის პოზიციაზე, რომელიც TACIS პროგრამის ფარგლებში აზერბაიჯანში, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიის განვითარებისთვის შეიქმნა. კამალა გახლდათ პასუხისმგებელი კლიენტების მოზიდვაზე, ასევე სესხის წარმოქმნასა და მართვაზე. იმავე წელს იგი აიყვანა უნიბანკმა OJSC-მა ფინანსური და სახაზინო კონტროლის ოფიცრად, სადაც პასუხისმგებელი იყო სავალუტო და საბაზრო რისკების მართვაზე.

2004-2005 წლებში იგი მუშაობდა McDermott Caspian Contractors Inc.-ში, როგორც ხარჯების კონტროლის ოფიცერი, ცენტრალური აზერბაიჯანის ოფშორული პლატფორმების დამზადებისა და მონტაჟისთვის. 2005 წელს იგი შეუერთდა ბაქოს ბანკს OJSC-ში, მთავარი ბუღალტრის მოადგილის პოზიციაზე, რომელიც პასუხისმგებელი იყო ბუღალტრული აღრიცხვის საქმიანობასა და მენეჯმენტის ანგარიშგებაზე.

2007 წელს იგი შეუერთდა პაშა ბანკს, როგორც შიდა აუდიტის მენეჯერი და 2011 წელს დაინიშნა რისკების მართვის დეპარტამენტის უფროსად. 2012 წელს გადავიდა პაშა ჰოლდინგში აუდიტისა და მონიტორინგის მენეჯერად. 2013 წელს დაინიშნა პაშა ჰოლდინგში ჯგუფის რისკების მართვის დირექტორად. 2021 წლის მაისიდან მან განაგრძო თავისი პროფესიული საქმიანობა აქციონერთა ოფისში, რისკებისა და აუდიტის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე.

კამალას PASHA ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს, აუდიტის კომიტეტის, რისკების მართვის კომიტეტისა და საინვესტიციო კომიტეტის წევრად მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.

2023 წლის 12 სექტემბრიდან კამალა ნურიევა შეუერთდა PASHA Bank Georgia-ს, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს და რისკების მართვის კომიტეტის წევრი.

მისი გამოცდილება საბანკო და ბიზნესის ადმინისტრირებაში 27 წელზე მეტს ითვლის.

განათლება

კამალა ნურიევამ 1998 წელს ბაკალავრის ხარისხი საბანკო მენეჯმენტში დასავლეთის უნივერსიტეტში მიიღო, ხოლო მაგისტრის ხარისხი - ფინანსებში აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკურ უნივერსიტეტიდან 2003 წელს.

აქციონერთა სტრუქტურა და სააქციო კაპიტალი

სს პაშა ბანკი საქართველო («ბანკი») ჩამოყალიბდა 2012 წლის 17 დეკემბერს, როგორც სააქციო საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ბანკი ოპერირებს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ 2013 წლის 17 იანვარს გაცემული საერთო საბანკო ლიცენზიის (ს/კ: 404433671) საფუძველზე.

ბანკი იღებს დეპოზიტებს და გასცემს სესხებს, ახორციელებს გადარიცხვებს და გადახდებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ახორციელებს ვალუტის გადაცვლას და უწევს სხვა საბანკო მომსახურებას კომერციულ კლიენტებს. 2017 წლიდან ბანკი ანაბრების დაზღვევის სისტემის წევრია. ეს სისტემა მოქმედებს „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და აზღვევს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების ყველა სახის დეპოზიტს.

2023 წლის 7 ივლისს ბანკის მფლობელობის სტრუქტურა შეიცვალა და ღსს პაშა ბანკთან ერთად ბანკის აქციონერი გახდა შპს პაშა ჰოლდინგი, 90,2019% და 9,7981% შესაბამისად.

2023 წლის სექტემბერში შპს „პაშა ჰოლდინგმა“ 7 800 000 ლარის სააქციო კაპიტალი შეიტანა ნაღდი ფულით და კვლავ შეიცვალა მფლობელობის სტრუქტურა. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქციების 85.0588% ფლობს ღსს პაშა ბანკი ხოლო 14.9412%-ს ფლობს შპს პაშა ჰოლდინგი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის საბოლოო ბენეფიციარი მფლობელები არიან: ქალბატონი ლეილა ალიევა (35.21%), ქალბატონი არზუ ალიევა (35.21%),ბ-ნი არიფ ფაშაევი (18.99%) და ბ-ნი ჯამალ ფაშაევი (10.59%), რომლებიც ახორციელებენ ერთობლივ კონტროლს ბანკზე.

ბანკის მთლიანი საწესდებო კაპიტალი იყოფა 136 800 000 (ას ოცდათექვსმეტი მილიონ რვაასი ათასი) ჩვეულებრივ აქციად. ერთი ჩვეულებრივი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1,00 (ერთი) ლარი. ბანკის აქციონერთა საერთო კრებაზე ყოველი ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს ერთი ხმის უფლებას აძლევს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ღსს პაშა ბანკი (აზერბაიჯანი) არის პაშა ბანკი საქართველოს 85,0588%-იანი წილის მფლობელი, ხოლო შპს პაშა ჰოლდინგი არის 14,9412%-იანი წილის მფლობელი.

ინფორმაცია სს „პაშა ბანკი საქართველოდან“ აქციონერის ან ბენეფიციარი მფლობელის მიერ მიღებული შემოსავლის ტიპის შესახებ მოცემულია ქვემოთ:

ათას ლარში		
	მფლობელები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები
	2024	
მოსაკრებელი და საკომისიოები	2	3
საკრედიტო დაწესებულებების მიერ მიღებული საპროცენტო შემოსავალი	70	542
არასაკრედიტო დაწესებულებების მიერ მიღებული საპროცენტო შემოსავალი	365	1,268
პროცენტი სუბორდინირებულ დავალიანებაზე	692	943

საბოლოო ბენეფიციარი მფლობელი	%
ლეილა ალიევა	35.21%
არზუ ალიევა	35.21%
არიფ ფაშაიევ	18.99%
ჯამალ ფაშაიევ	10.59%

ჯგუფის სტრუქტურა ასეთია:

აქციონერთა საერთო კრება

“ბანკის” მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. ბანკი ატარებს ყოველწლიურ საერთო კრებებს წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერიდან ორი თვის განმავლობაში. სხვა საერთო კრებები მოიწვევა, თუ ამას მოითხოვს ბანკის ინტერესები ან თუ ამას მოითხოვს ბანკის წესდება. საერთო კრებები მოწვევა ხდება დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერ(ებ)ის მიერ. საერთო კრება ტარდება საქართველოს ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ, აქციონერებისთვის ყველაზე ხელსაყრელ დროსა და ადგილას. საერთო კრება მოიწვევა აქციონერებისთვის შეტყობინების გაგზავნიდან ოცი კალენდარული დღის ვადაში. აქციონერებს შეუძლიათ ხმის მიცემა უცხოეთიდან ან სხვა პირზე გაცემული მინდობილობის მეშვეობით. ბანკი უზრუნველყოფს საერთო კრებებზე მიღებული ყველა სათანადოდ რწმუნებულის დანიშვნის სათანადოდ აღრიცხვას. საერთო კრების მოწვევა განსაზღვრავს ინფორმაციას წესდებაში ცვლილებების შეტანის თარიღის, დროის, ადგილის, დღის წესრიგის, დადგენილების პროექტის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

კენჭისყრის შედეგები და სხვა შესაბამისი მასალები დაურიგდება აქციონერებსა და საბოლოო აქციონერებს.

სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა და ყველა დირექტორმა იცოდნენ აქციონერების შეხედულებების, საკითხებისა და პრობლემების შესახებ.

საკითხები რომელიც მოითხოვს აქციონერთა კრების მიერ დამტკიცებას

ა) ბანკის წესდების დამტკიცება და ცვლილება;

ბ) ბანკის წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება;

გ) ბანკის რეორგანიზაცია, რომელიც მოიცავს შერწყმას, გაყოფას, გარდაქმნას (ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმის შეცვლას) და ბანკის ლიკვიდაციას, ბანკის სააქციო კაპიტალის მკვეთრი ზრდის დროს უპირატესი შესყიდვის უფლების სრულად ან ნაწილობრივ გაუქმებას;

დ) ახალი აქციების გამოშვება, არსებული აქციონერ(ებ)ის მიერ აქციების, ან სხვა, აქციებად კონვერტირებადი, ფასიანი ქაღალდების გაყიდვა.

ე) მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს წინადადება მოგების გამოყენების (მათ შორის განაწილების) შესახებ , ხოლო თუ ეს ორგანოები ვერ შეთანხმდებიან ერთ წინადადებაზე, მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;

ვ) დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ანგარიშების დამტკიცება;

ზ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და გათავისუფლება, წევრის ანაზღაურების საკითხის განსაზღვრა და წევრის ხელშეკრულებების დადება;

თ) ბანკის დირექტორთა საბჭოს პირველი შემადგენლობის დამტკიცება; ი) ბანკის აუდიტის კომიტეტის პირველი შემადგენლობის დამტკიცება;
კ) მიიღოს გადაწყვეტილებები დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამგვარ პროცესში წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;

ლ) ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და რეალიზაციის შესახებ დადგენილებების მიღება;

მ) მიიღოს გადაწყვეტილება ბანკის ქონების შეძენაზე, გაყიდვაზე, გადაცემაზე, გაცვლასა (ან მსგავსი ეფექტის მქონე გარიგებაზე) ან დატვირთვაზე, რომლის ღირებულებაც აღემატება
«ბანკის» აქტივების საბალანსო ღირებულების 25%-ს.

ნ) სხვა საკითხების გადაწყვეტა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აქციონერთა საერთო კრების მიმოხილვა

2024 წელს აქციონერთა საერთო კრება ჩატარდა 29 იანვარს. აქციონერთა საერთო კრებაზე ბატონი მირ ჯამალ ფაშაიევი წარმოადგენდა ბანკის აქციონერს, სათანადო წესით ნოტარიულად დამოწმებული და ლეგალიზებული მინდობილობის (რწმუნებულების) საფუძველზე.
დღის წესრიგი მოიცავდა სს პაშა ბანკი საქართველოს კორპორაციული მართვის პოლიტიკის დამტკიცებას (მე-5 ვერსია)

აქციონერთა უფლებები

აქციონერთა უფლება-მოვალეობები ურთიერთშეთანხმებით განისაზღვრება სს „პაშა ბანკი საქართველოს“ წესდებით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით (მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით), „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით (მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით), და ყველა სხვა შესაბამისი კანონით და დებულებით, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული რეგულაციებით.

წესდება ხელმისაწვდომია პაშა ბანკის ვებგვერდზე www.pashabank.ge

ბანკის წესდების მე-4 მუხლის 4.2 ნაწილის თანახმად, აქციონერებს უფლება აქვთ:

ა) დაესწრონ ან წარმოდგენილ იყვნენ საერთო კრებაზე და მონაწილეობა მიიღოს ხმის მიცემის პროცესში (მხოლოდ ჩვეულებრივი აქციების მფლობელები);

ბ) არჩეულ იქნენ სამეთვალყურეო საბჭოში;

გ) მონაწილეობა მიიღონ მოგების განაწილებაში და მიიღონ დივიდენდები მათ მფლობელობაში არსებული აქციების რაოდენობის პროპორციულად;

დ) განკარგონ საკუთარი აქციები საქართველოს კანონმდებლობისა და ბანკის წესდების შესაბამისად;

ე) «ბანკის» ლიკვიდაციის შემთხვევაში, მათი წილის პროპორციულად მიიღონ იმ ქონების წილი, რაც დარჩება კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდგომ;

ვ) ჰქონდეთ წვდომა ბანკის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე;

ზ) მიმართონ ბანკის დირექტორებს საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების დასაზუსტებლად, მოითხოვონ რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა, ან დაამატონ განსახილველი საკითხები უკვე დანიშნული საერთო კრების დღის წესრიგში;

თ) მოითხოვონ ბანკის სამეურნეო საქმიანობისა და წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ მათ აქვთ საფუძვლიანი ეჭვი, რომ ადგილი ჰქონდა არსებით დარღვევებს;

ი) უპირატესი წესით გამოიწერონ ბანკის ახლად გამოშვებული ან არსებული აქციები მათ საკუთრებაში არსებული აქციების პირდაპირპროპორციულად, ბანკის წესდებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

კ) მიმართონ ადგილობრივ სასამართლოს ან მხარეთა შეთანხმებით მოიძიონ კერძო არბიტრაჟი მათსა და ბანკს შორის კონფლიქტის გადასაჭრელად;

ლ) ისარგებლონ საქართველოს კანონმდებლობითა და ბანკის წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ბანკისა და დირექტორთა საბჭოს საერთო ზედამხედველობაზე. მის წევრებს ირჩევენ აქციონერები. სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე; საბჭო რჩევებს აძლევს დირექტორთა საბჭოს და ჩართულია გადაწყვეტილების მიღებაში ყველა იმ ფუნდამენტურ საკითხზე, რომელიც გავლენას ახდენს ბანკზე. ეს არის ბანკის მთავარი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია აქციონერებისთვის მდგრადი აქციონერული ღირებულების შექმნასა და მიწოდებაზე, ბანკის სამეწარმეო ხელმძღვანელობისა და მმართველობის გზით. იგი განსაზღვრავს ბანკის სტრატეგიულ მიზნებსა და პოლიტიკას, უზრუნველყოფს საერთო სტრატეგიულ მიმართულებას ჯილდოების, წახალისებისა და კონტროლის ფარგლებში, წარმოაჩენს ეთიკურ ხელმძღვანელობას და ხელს უწყობს ბანკის მიზნის, ღირებულებების, კულტურისა და ქცევების კოლექტიურ ხედვას.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მოქმედებენ, როგორც ისინი კეთილსინდისიერად თვლიან, ბანკის წარმატების უზრუნველსაყოფად და აქციონერთა საკეთილდღეოდ მთლიანობაში, და ამასთან, ითვალისწინებენ სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებსაც.

ბანკის წესდების მე-7 მუხლის მე-7.10 ნაწილის თანახმად, შემდეგი საქმიანობები ხორციელდება მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ:

- ბანკის სტრატეგიული ზედამხედველობა და კონტროლი;
- კორპორაციული სტრატეგიისა და სტრატეგიული მიზნების განხილვა და დამტკიცება;
- წლიური ბიუჯეტისა და ბიზნეს გეგმის განხილვა და დამტკიცება;
- ახალი საბანკო/კომერციული საქმიანობის დაწყება და არსებული საქმიანობის შეწყვეტა ან შეჩერება;
- ახალი საწარმოებისა და ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;
- სხვა კომპანიებში აქციების შეძენა და გასხვისება;
- ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცება;
- ეთიკის კოდექსის დამტკიცება და მხილების პროცედურები;
- საერთო კრების გადაწყვეტილებების მიღება ბანკის აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბაზარზე დაშვების შესახებ;
- მოგების განაწილების წინადადებების წარდგენა აქციონერთა საერთო კრებაზე;
- ბანკის მიერ აქციების გამოსყიდვა, როგორც ეს მოთხოვნილია საქართველოს კანონმდებლობით;
- რისკების მართვის საქმიანობის სტრატეგიული ზედამხედველობა;
- რისკის აპეტიტის დამტკიცება, ყოველწლიური გადახედვა;
- ბიზნეს უწყვეტობის გეგმის დამტკიცება;
- ინტერესთა (შესაძლებელი) კონფლიქტისა და მასთან დაკავშირებული გარიგებების ავტორიზაცია ბანკის მიერ დადგენილ ფარგლებში;

- ინტერესთა კონფლიქტთან და დაკავშირებულ მხარეთა გარიგებებთან დაკავშირებული პოლიტიკის, სტანდარტებისა და პროცედურების დამტკიცება;
- დირექტორთა საბჭოს სტრუქტურის, რაოდენობისა და შემადგენლობის დამტკიცება, მისი წევრების დანიშვნისა და გათავისუფლების ჩათვლით;
- დირექტორთა საბჭოს წევრების უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა, მათი საქმიანობის მონიტორინგი და ზედამხედველობა, დირექტორთა საბჭოდან ანგარიშების გამოთხოვა;
- დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის გადაბარების პოლიტიკისა და გადაბარების გეგმების დამტკიცება;
- შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება და დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების პაკეტების განსაზღვრა;
- თანამშრომლებისთვის, მათ შორის დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის, პრემიების ან/და დამატებითი სარგებლის განსაზღვრის მარეგულირებელი ჩარჩოს დამტკიცება;
- სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების სტრუქტურის, ზომის და შემადგენლობის დამტკიცება, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების წევრების დანიშვნა და განთავისუფლება; სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების ანგარიშების განხილვა;
- გარე აუდიტორების არჩევა;
- სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და დათხოვნა.
- კორპორაციული მდივნის დანიშვნა და გათავისუფლება;
- ტრანზაქციების დამტკიცება, რომლებიც განისაზღვრება, მაგრამ არ შემოიფარგლება სესხის აღების, სესხების და ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების გაცემის, სესხის რესტრუქტურიზაციის, სესხის ჩამოწერის, მატერიალური და არამატერიალური აქტივების შეძენა-გასხვისების, ადმინისტრაციული ხარჯების, ნაღდი ფულის ლიმიტების, საჯარო და კერძო კომპანიებში კაპიტალური ინვესტიციების განხორციელების დამტკიცებით, იმ შემთხვევაში თუ ტრანზაქციის მოცულობა აღემატება დირექტორთა საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების და ხელმოწერის უფლებამოსილების ლიმიტებს;
- დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილების მიღებისა და უფლებამოსილების ლიმიტების დამტკიცება;
- ბანკის ან ნებისმიერი მესამე პირის სესხების ან სხვა ვალდებულებების უზრუნველყოფა, თუ ისინი სცილდება ბანკის რეგულარული ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებს;
- ობლიგაციების გამოშვების დამტკიცება;
- ბანკის წესდების ტიპის, ჩარჩოს ტიპის და პოლიტიკის ტიპის დოკუმენტების დამტკიცება და შესწორება;
- პირობების და წესების განსაზღვრა და დამტკიცება, რომელიც გამოიყენება ბანკის თანამშრომლებისთვის საკრედიტო რესურსებთან და დეპოზიტებთან მიმართებაში;
- აქციონერთა საერთო კრების მოწვევა, თუ ითვლება, რომ ეს საჭიროა "ბანკის" ინტერესებისათვის;
- ზედამხედველობის გაწევა და ბანკის წარმომადგენლობა დირექტორთა საბჭოს წევრებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში;
- საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, ბანკის სახელით დირექტორთა საბჭოს წევრების წინააღმდეგ სამართლებრივი დავის წარმოება, საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე დირექტორთა საბჭოს წევრების მიმართ სარჩელის წარდგენა, თუ საკითხი ეხება დირექტორთა საბჭოს წევრების პასუხისმგებლობას;
- შესაბამისი ზომების დანერგვის ზედამხედველობა შიდა და გარე აუდიტორის შემოწმების შედეგების მიხედვით, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგების მიხედვით;
- გადაწყვეტილებების მიღება იმ საკითხებზე, რომელიც სცდება დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილებების ფარგლებს;
- აქციონერთა კრების მოთხოვნით სხვა მოვალეობების შესრულება.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ერთობლივად არიან პასუხისმგებელნი ბანკის ინტერესებზე და გააჩნიათ ბანკის მიმართ ფიდუციარული მოვალეობა. თავმჯდომარე ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთაგან. იგი პასუხისმგებელია მის ეფექტურ ფუნქციონირებაზე მთლიანობაში, მათ შორის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ნდობისა და კოლეგიალობის შენარჩუნებაზე, ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და მენეჯმენტს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის ხელშეწყობაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის განსაზღვრება

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების ყველა წევრი გადაწყვეტილების მიღებისას უნდა მოქმედებდეს დამოუკიდებლად. დაუშვებელია აქციონერის, კლიენტის, კონტრაქტორის, ინვესტორის ან მასთან დაკავშირებული სხვა მხარის კერძო ინტერესების გათვალისწინება ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღებისას. წევრები მოქმედებენ დამოუკიდებლად, თუ ისინი ეფექტიანად ღებულობენ საუკეთესო გადაწყვეტილებას ბანკის ექსკლუზიური სარგებლისთვის, გადაწყვეტილებას, რომელიც არ არის დაჩრდილული რეალური ან სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტით.

ბანკის მიერ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე რეკომენდებული პირისდამოუკიდებლობა დასტურდება დანიშვნამდე ბანკის მიერ დამოუკიდებლობის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის კითხვარითა და „კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" რეგულაციით გათვალისწინებული შესაბამისობის ანალიზის საფუძველზე.

„დამოუკიდებელი წევრი" ნიშნავს წევრს, როდესაც იგი ან მისი რომელიმე ნათესავი, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად არიან პირველი და მეორე რიგის კანონიერი მემკვიდრეები:

1. არ არის ბანკის ან ბანკის რომელიმე მონათესავე კომპანიის ადმინისტრატორის ნათესავი;
2. არ არის იმ პირ(ებ)ის ნათესავი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ბანკის ან ბანკის მონათესავე კომპანიების მნიშვნელოვან წილებს;
3. ბოლო ორი წლის განმავლობაში არ ჰქონია პირადი ურთიერთობა (ნათესაობა, ერთად ცხოვრება და ა.შ.) ბანკის ან ჯგუფში შემავალ კომპანიების ადმინისტრატორებთან, ასევე ბანკის ან ჯგუფში შემავალი კომპანიების მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პირ(ებ)თან;
4. არ იღებს დამატებით ანაზღაურებას ბანკისგან, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების წევრობის ფიქსირებული საფასურისა;
5. არ იღებს დივიდენდს ბანკის აქციების ფლობისთვის (ბანკის აქციების 2% -ზე ნაკლების პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობა);
6. ბოლო ორი წლის განმავლობაში არ აწარმოებდა ბიზნესს ან არ ჰქონია სხვა სახის მატერიალური საქმიანი/კომერციული ურთიერთობა ბანკის ან მასთან დაკავშირებული კომპანიების ადმინისტრატორებთან;
7. ბოლო ორი წლის განმავლობაში არ აწარმოებდა ბიზნესს ან არ ჰქონია სხვა სახის მატერიალური საქმიანი/კომერციული ურთიერთობა პირთან, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს მნიშვნელოვან წილებს ბანკში ან ბანკის მონათესავე კომპანიებში;
8. არ გააჩნია რაიმე სახის მატერიალური პასუხისმგებლობა (მათ შორის ფინანსური) ბანკის, ბანკის ადმინისტრატორების, ბანკის მნიშვნელოვანი აქციონერების/აქციონერების ან ნებისმიერი სხვა სახის მატერიალური/ფინანსური ინტერესის (მათ შორის, ქონების, ინვესტიციის) მიმართ ბანკში ან ბანკის მონათესავე კომპანიებში

(გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ბანკის ან მასთან დაკავშირებული კომპანიების 2% ან ნაკლებ წილს);

9. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ ჰქონია პროფესიული ან სხვა სახის სამუშაო ურთიერთობა (მათ შორის ბიზნეს მომსახურება და ა.შ.) ბანკთან და ბანკის მონათესავე კომპანიებთან, ადმინისტრატორებთან და მნიშვნელოვან აქციონერებთან (გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც პირი ასრულებს არააღმასრულებელ ფუნქციებს ან უკავია არააღმასრულებელი თანამდებობა);

10. არ ყოფილა დასაქმებული ბანკის მიერ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისა;

11. არ არის დაკავშირებული არაკომერციულ ორგანიზაციასთან, რომელიც იღებს მნიშვნელოვან დაფინანსებას ბანკისგან ან ბანკის მონათესავე კომპანიებისგან;

12. არ არის და არც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ყოფილა დაკავშირებული ბანკის ახლანდელ ან ყოფილ აუდიტორთან ან მასთან დაკავშირებულ მხარესთან;

13. არ უმუშავია სამეთვალყურეო საბჭოში ცხრა წელზე მეტი მისი პირველი არჩევის დღიდან;

14. აუდიტის კომიტეტის წევრები არ ჩაითვლებიან დამოუკიდებლებად, თუ მათ ან/და მათ ნათესავებს, რომლებიც არიან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად პირველი და მეორე რიგის კანონიერი მემკვიდრეები, აქვთ ფინანსური პასუხისმგებლობა ბანკის წინაშე;

15. არ ჰქონია სხვა სახის ურთიერთობა, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს პიროვნების დამოუკიდებლობაზე.

ჯგუფის მშობელი კომპანიის ან/და შვილობილი ბანკების სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრები ასევე შეიძლება ჩაითვალონ შვილობილი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსაგან დამოუკიდებელ წევრებად, თუ ეს წევრები აკმაყოფილებენ დამოუკიდებლობის კრიტერიუმებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის № 215/04 ბრძანებით კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე.

კორპორაციული მართვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია პაშა ბანკის ვებგვერდზე www.pashabank.ge

სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კრიტერიუმები

ბანკის კორპორაციული მართვის პოლიტიკა ადგენს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც სამეთვალყურეო საბჭო ეძებს ფართო გამოცდილების, ცოდნისა და კეთილსინდისიერი რეპუტაციის მქონე წევრებს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს უნდა გააჩნდეთ მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პოზიციებზე მუშაობის გამოცდილება, უნდა იყვნენ ლიდერები მათთან დაკავშირებულ კომპანიებში ან დაწესებულებებში, და შეირჩნენ იმის გათვალისწინებით, თუ რა წვლილი შეუძლიათ მათ შეიტანონ სამეთვალყურეო საბჭოში და როგორ შეუძლიათ წარმოაჩინონ აქციონერთა ინტერესები. სამეთვალყურეო საბჭო ასევე გაითვალისწინებს კანდიდატის შეხედულებების მრავალფეროვნებას, სოციალურ ფონს და სხვა დემოგრაფიულ საკითხებს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კრიტერიუმები და დანიშვნის პროცესი ასევე რეგულირდება ბანკის მიერ დამტკიცებული

„ადმინისტრატორთა დანიშვნის შესახებ“ სტანდარტით, რომელიც შემუშავებულია «კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ რეგულაციის საფუძველზე და ადგენს მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატი.

საბჭოს კოლექტიური შესაბამისობის შეფასებისას გასათვალისწინებელია:

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უნდა ჰქონდეს საუნივერსიტეტო განათლება შემდეგი სფეროებიდან ერთ-ერთში: ეკონომიკა, ფინანსები, საბანკო საქმე, ბიზნესის ადმინისტრირება, აუდიტი, ბუღალტერია, იურისპრუდენცია ან სხვა შესაბამისი განათლება, რომელიც მას საშუალებას მისცემს შეასრულოს თავისი მოვალეობები;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ უნდა იყოს საქართველოში რეგისტრირებული სხვა კომერციული ბანკის ადმინისტრატორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას უკავია ადმინისტრატორის თანამდებობა ბანკში, რომელიც არის ბანკის შვილობილი ან მშობელი;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს წევრი საქართველოში რეგისტრირებულ შვიდზე მეტ საწარმოში;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ უნდა იყოს ბანკის დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის I ან II რიგის ნათესავი;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უნდა გააჩნდეს შესაბამისი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა უნდა უზრუნველყოფდეს უნარების, ცოდნისა და გამოცდილების მრავალფეროვნებას, რომელიც შეესაბამება ბანკის საქმიანობის მასშტაბსა და სირთულეს.

კორპორაციული მართვის პოლიტიკის თანახმად, პოტენციური კანდიდატების განხილვისას გასათვალისწინებელი ფაქტორებია:

- ცნობადობა ბიზნესში, დაწესებულებებში ან პროფესიებში;
- კეთილსინდისიერება, პატიოსნება და საზოგადოების ნდობის მოპოვების უნარი;
- ჯანსაღი და დამოუკიდებელი ბიზნეს გადაწყვეტილების დემონსტრირება;
- ფინანსური განათლება და ფინანსურ ინსტიტუტებთან მუშაობის გამოცდილება;
- რისკების მართვის გამოცდილება;
- სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტებში მუშაობისათვის საჭირო პროფესიული გამოცდილება;
- სამეთვალყურეო საბჭოსა და კომიტეტში მუშაობისთვის საკმარისი დროის დათმობის უნარი;
- ბინადრობა საქართველოში და იმ გეოგრაფიული რეგიონის ცოდნა, სადაც ბანკი ახორციელებს ბიზნეს საქმიანობას;
- კომპეტენციები და უნარები, რომლებსაც სამეთვალყურეო საბჭო მოელის თითოეული არსებული წევრისგან.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დამოუკიდებლობა დასტურდება ბანკის მიერ მის დანიშვნამდე, როგორც ეს მოითხოვება სებ-ის მიერ შემუშავებული დამოუკიდებლობის კითხვარით, და სებ-ში ბარდება შესაბამისობის ანალიზი.

საბჭოს ეფექტურობის მიმოხილვა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შეფასება

სამეთვალყურეო საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტებისა და მისი ცალკეული წევრების საქმიანობის შეფასების მიზნით სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად ატარებს ეფექტიანობის ანალიზს. ყოველწლიური შეფასებები ტარდება ორგანიზაციის შიგნით. სხვადასხვა წლებში შესრულების შეფასების პროცესი შეიძლება განსხვავდებოდეს, მაგრამ ჩვეულებრივადა იგი ტარდება დეტალური კითხვარის ფორმით, რომელსაც დაერთვება ინდივიდუალური ინტერვიუები სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან და სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტებთან. თავმჯდომარეს შეუძლია ჩაატაროს პირადი შეხვედრები სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრთან, რათა განიხილოს შეფასების შედეგები და ინდივიდუალური შესრულება. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების თავმჯდომარეები პასუხისმგებელნი არიან მათი კომიტეტების შეფასებაზე.

დირექტორთა საბჭოს მუშაობის ანალიზი და შეფასება

სამეთვალყურეო საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტებისა და მისი ცალკეული წევრების საქმიანობის შეფასების მიზნით სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად ატარებს ეფექტიანობის ანალიზს. ყოველწლიური შეფასებები ტარდება ორგანიზაციის შიგნით. სხვადასხვა წლებში შესრულების შეფასების პროცესი შეიძლება განსხვავდებოდეს, მაგრამ ჩვეულებრივადა იგი ტარდება დეტალური კითხვარის ფორმით, რომელსაც დაერთვება ინდივიდუალური ინტერვიუები სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან და სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტებთან. თავმჯდომარეს შეუძლია ჩაატაროს პირადი შეხვედრები სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრთან, რათა განიხილოს შეფასების შედეგები და ინდივიდუალური შესრულება. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების თავმჯდომარეები პასუხისმგებელნი არიან მათი კომიტეტების შეფასებაზე.სამეთვალყურეო საბჭო პერიოდულად განიხილავს სამეთვალყურეო საბჭოსა და კომიტეტების სტრუქტურას, ზომასა და შემადგენლობას, აფასებს შიდა მმართველობის პოლიტიკასა და პრაქტიკას.

ყოველი სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის შემდეგ, კორპორაციული მდივანი ატარებს დირექტორთა საბჭოს პრაქტიკის ონლაინ გამოკითხვას, რათა განსაზღვროს ბანკში არსებული დირექტორთა საბჭოს კულტურის ეფექტურობა. ამ გამოკითხვით სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ეძლევათ შესაძლებლობა, შეაფასონ ბანკის მომზადებისა და საბჭოს სხდომის მუშაობის დონე და შესთავაზონ მათ წინადადებები გაუმჯობესებისათვის, ასევე შეაფასონ მათი და მათი კოლეგების საქმიანობა.

ინფორმაციის სენსიტიურობიდან გამომდინარე, თითოეული რესპონდენტის ანონიმურობა მკაცრად დაცულია.

წლის განმავლობაში ბანკმა ჩაატარა საბჭოს სხდომების დიდი რაოდენობა; ჯამში, ბანკმა მოიწვია 57 საბჭოს სხდომა, რომელთაგან 45 იყო რიგგარეშე.

დამოუკიდებელი შეფასება

საბჭოსა და კომიტეტების ეფექტურობის შეფასება ჩატარდა დამოუკიდებელი კონსულტანტის, PwC საქართველოს მიერ და შედეგები გამოქვეყნდა 2023 წლის აგვისტოში . ეფექტურობის შეფასებაში PwC საქართველომ გამოიყენა სამეთვალყურეო საბჭოს ეფექტიანობის გაზომვის სისტემა.

შეფასების პროცესი დაიყო 3 ფაზად, დადგინდა 5 ფოკუსირებული შესაფასებელი არეალი და 5 შედეგის მაჩვენებელი.

შეფასება ეფუძნებოდა საქართველოს კომერციული ბანკების კორპორატიული მართვის კოდექსს, EBA/GL/2021/05: სახელმძღვანელო შიდა მმართველობის შესახება დირექტივასა 2013/36/EU და წამყვან საბაზრო პრაქტიკას.

შემოწმდა საბჭოს წევრთა როლები, პასუხისმგებლობები, კომპეტენციები და გარდა ამისა, დამოკიდებულებები მის მოვალეობებთან დაკავშირებით. ურთიერთქმედება და თანამშრომლობა სამეთვალყურეო საბჭოს, როგორც ერთიანი ორგანოს ფარგლებში.

შესაფასებელი 5 ფოკუსირებული არეალებია:

საბჭოს შეფასების პოლიტიკის ეფექტურობა – შიდა პოლიტიკა უნდა მოიცავდეს შესაბამის როლებს, პასუხისმგებლობებს, მეთოდებს და შეფასების პროცესის აღწერას. სამეთვალყურეო საბჭოს ეფექტურობის შეფასება დამკვიდრებული რისკის კულტურის განუყოფელი ნაწილია.

საბჭოს პასუხისმგებლობა და როლი – ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს აქვს ძირითადი პასუხისმგებლობა სტრატეგიის მონიტორინგისა და გამოწვევის, მენეჯმენტის გადაწყვეტილებების ზედამხედველობის, პერსპექტივების მრავალფეროვნების ხელშეწყობის, შესაბამისობისა და მთლიანობის უზრუნველყოფის და ESG ფაქტორების რისკების მართვაში ჩართვაში და ა.შ

კომიტეტები – თითოეულ კომიტეტს უნდა ჰქონდეს მკაფიო მანდატი და წერილობითი წესდება, რომელიც ასახავს მის პასუხისმგებლობებს. კომიტეტის წევრები არ უნდა მუშაობდნენ მრავალ კომიტეტში. გარდა ამისა, კომიტეტის ყველა წევრს უნდა ჰქონდეს საჭირო კვალიფიკაცია, რათა ეფექტურად შეასრულოს თავისი მოვალეობები.

ორგანიზაციული სტრუქტურა – გამჭვირვალე ორგანიზაციული და ოპერატიული სტრუქტურა, წერილობით დოკუმენტირებული.

ურთიერთანამშრომლობა ბანკის სხვა ფუნქციებთან – დაწესებულებაში შიდა კონტროლის ფუნქციები მოიცავს რისკის მართვის, შესაბამისობის და შიდა აუდიტის ფუნქციებს. ეს ფუნქციები მოქმედებს მკაფიო ანგარიშგების ხაზებით და გამოყოფილი პასუხისმგებლობებით, რომლებიც კარგად არის განსაზღვრული და დოკუმენტირებული. საჭიროების შემთხვევაში, ამ შიდა კონტროლის ფუნქციების ხელმძღვანელებს უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება უშუალოდ მოახსენონ სამეთვალყურეო საბჭოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გარკვეულმა განვითარებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს დაწესებულებაზე.

შეფასების მიზნით განახორციელა შემდეგი სამუშაოები:

- დოკუმენტაციის განხილვა;
- ონლაინ გამოკითხვის გავრცელება საბჭოს წევრებზე;
- წამყვან საბაზრო პრაქტიკასთან შედარება; შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბანკმა მიაღწია კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობისა და ლოიალურობის კარგ დონეს კორპორაციულ მმართველობაზე მუდმივი მუშაობით. მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნა გაწეული საბჭოებისა და კომიტეტების მუშაობის გასაძლიერებლად ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, შესამჩნევი შედეგებით.

ყველა ფოკუსირებული არეალი ძირითადად შეფასდა როგორც დამენეჯმენტებული, კარგად განსაზღვრული და მხოლოდ ერთი როგორც განვითარების ეტაპზე მყოფი.

პაშა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ეფექტურად მუშაობენ ერთად, ღიად ურთიერთობენ

და თანამშრომლობენ მნიშვნელოვან საკითხებზე. ისინი იცავენ დადგენილ პროცედურებსა და ნორმებს, როგორიცაა განახლებული დოკუმენტების შენარჩუნება, შეხვედრის ოქმები და კომიტეტის პრეზენტაციები, რათა მხარი დაუჭირონ მათ ქმედებებს. საბჭოს პრაქტიკა ემთხვევა წამყვანი ბაზრის სტანდარტებს და მარეგულირებელ მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს ეფექტურ მმართველობას.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები

2024 წლის განმავლობაში, სამეთვალყურეო საბჭომ ორმოცდაცხრამეტი, მათ შორის ორმოცდახუთი რიგგარეშე და თორმეტი რიგითისაბჭოს სხდომა, გამართა.

სამეთვალყურეო საბჭო

წევრები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სამეთვალყურეო საბჭო					
წევრები 2024 წლის 31 დეკემბერს					
სახელი გვარი	თანამდებობა	არჩევის თარიღი	სხვა თანამდებობები	შეხვედრებზე დასწრება / დასწრების შესაძლებლობა	დასწრების კოეფიციენტი
როვშან ალლაპვერდიევი	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	12.09.2023		55/56	98%
კამალა ნურიევა	საბჭოს წევრი	12.09.2023	რისკების მართვის კომიტეტის წევრი	53/56	95%
გიორგი ღლონტი	უფროსი დამოუკიდებელი წევრი	31.12.2018	აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე; რისკების მართვის კომიტეტის წევრი	56/57	98%
ებრუ ოღან კნოტნერუს	დამოუკიდებელი წევრი	31.12.2018	რისკების მართვის კომიტეტის თავმჯდომარე; აუდიტის კომიტეტის წევრი.	57/57	100%
შაჰინ მამმადოვი	საბჭოს წევრი	30.05.2018	აუდიტის კომიტეტის წევრი	49/54	91%

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების დღის წესრიგი

2024 წლის განმავლობაში, სამეთვალყურეო საბჭომ თავის დღის წესრიგში შეიტანა, განიხილა და/ან დაამტკიცა მთელი რიგი თემები, რომლებიც ეხება კორპორაციულ მართვას, საოპერაციო და ორგანიზაციულ რისკების მართვას, სტრატეგიულ დაგეგმვასა და ბიუჯეტირებას და სხვადასხვა საოპერაციო საკითხებს, როგორიცაა საკრედიტო დაწესებულებების დამტკიცება და ა.შ.

კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული საკითხები

სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრათა დღის წესრიგი

1. განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცება;
2. დაკავშირებული მხარის გარიგების დამტკიცება;
3. დაკავშირებულ მხარესთან სუბორდინირებული სესხის ხეშეკრულების დამტკიცება;
4. ახალი ან განახლებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების დამტკიცება:ცვლილებების ფასს 9-ის გაუფასურების მეთოდოლოგია , გარემოსდაცვითი პოლიტიკა, კორპორაციული მართვის ერთეულის დებულება, რისკების მართვის კომიტეტის დებულება და სხვა დებულებები, საკრედიტო პოლიტიკა, ადმიანური რესურსების პოლიტიკა, მთავარი რისკის ინდიკატორთა ჩარჩო, რისკის კულტურის ჩარჩო, პაროლის პოლიტიკა, ინფორმაციული რისკის მართვს პოლიტიკა, ოფშორული პოლიტიკა; სანქციების პოლიტიკა; ანტიკორუფციული პოლიტიკა; თანამშრომელთა ანაზღაურების პოლიტიკა; ნომინაციისა და ანაზღაურების ექსპერტთა ჯგუფის სახელმძღვანელო; სტრეს-ტესტის ჩარჩო; ადმინისტრატორების დანიშვნის სტანდარტის განახლება; კორპორატიული მართვის პოლიტიკის განახლება.

რისკ მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხები

5. გაცხადებული რისკის აპეტიტის ჩარჩოს და 2024 წლის გაცხადებული რისკის აპეტიტის, სტრეს ტესტის ჩარჩოს, ICAAP ჩარჩოს,გაჯანსაღების გეგმის და რისკების მართვის დეპარტამნეტის დებულების დამტკიცება;
6. რისკების იდენტიფიკაციისა და შეფასების რეპორტის განხილვა განხილვა.
7. კვარტლური რისკების მართვის კომიტეტის რეპორტის განხილვა;

სტრატეგიის გეგმარებისა და ბიუჯეტთან მიმართებით საკითები

8. 2024–2026 სტრატეგიული ბიზნეს მოდელის დამტკიცება.
9. სტრატეგიული KPI-ების დამტკიცება 2024–2026 წლისთვის
10. 2024 წლის I კვარტლის ფინანსური შედეგებისა და 2023 წლის ფინანსური შეჯამების განხილვა.
11. 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცება
12. 2023 წლის ბიუჯეტის რეკომენდაციების განხილვა;
13. სტრატეგიისა და ბიუჯეტის განხილვა ექსპერტთა ჯგუფის წევრების ანგარიშები სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე;
14. ფინანსური და სხვა საქმიანობის ანგარიშის განხილვა;

შესაბამისობა და AML-თან დაკავშირებული დოკუმენტები

15. შესაბამისობის პოლიტიკის დამტკიცება.
16. შესაბამისობის და AML კვარტლური რეპორტების განხილვა.
17. AML-თან დაკავშირებული დოკუმენტების, მათ შორის ოფშორული პოლიტიკის და სანქციების პოლიტიკის დამტკიცება.
18. 2023 წლის AML/CFT ორგანიზაციული რისკის შესაფასების რეპორტის განხილვა

ადამიანური რესურსების საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები

19. დოკუმენტების დამტკიცება; 2023 წლის სახელფასო ცვლილებების და წლიური ბონუსების დამტკიცება

და სხვა საოპერაციო საკითხები, როგორიცაა საკრედიტო საშუალებების დამტკიცება, არსებული საკრედიტო საშუალებების პირობების ცვლილებები, გაუქმებები, ობლიგაციების შესყიდვა, ადმინისტრაციული ხარჯები და ა.შ. სამეთვალყურეო საბჭოსა და მისი კომიტეტების შესაბამისი გადაწყვეტილებების კრების ოქმები სათანადო წესით იქნა შედგენილი და

დამტკიცებული კორპორაციული მდივნისა და შესაბამისი მმართველი ორგანოს თავმჯდომარის მიერ.

კრების ოქმები მოიცავენ ინფორმაციას საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ, ასევე რეზოლუციების წინააღმდეგ ხმის მიმცემი წევრების არგუმენტებს. კრების ოქმები სებ-ს მიეწოდა შეხვედრის თარიღიდან არაუგვიანეს ათი დღისა და შესაბამისი ამონარიდები დაურიგდა შესაბამის შიდა დაინტერესებულ მხარეებს.

სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად ხვდება უფროს მენეჯმენტსა და შიდა კონტროლის ფუნქციების მქონე ორგანოს, იმ პოლიტიკისა და რეგულაციების განსახილველად, რომლებიც განსაზღვრავენ წინააღმდეგობების მქონე არსებით რისკებსა და საკითხებს. საბჭო პასუხობს კითხვებს და კრიტიკულად განიხილავს უმაღლესი მენეჯმენტის მიერ მოწოდებულ განმარტებებს და ინფორმაციას.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებისთვის განკუთვნილი საკითხების განრიგი მოცემულია **55**-ე გვერდზე.

სტრატეგია

2024 წელს დაიწყო ბანკის 2024-2026 სტრატეგიული პერიოდი. ახალი სტრატეგია ინარჩუნებს ბანკის მისწრაფებებს, გახდეს ბაზრის შესამჩნევი მოთამაშე, რომელიც იმართება მაქსიმალური კეთილსინდისიერებით, ჯანსაღი კორპორაციული მართვის, მოწინავე ტექნოლოგიების გადაწყვეტილებებით და კომპეტენტური, ნიჭიერი მენეჯმენტით, რაც სტიმულს აძლევს მდგრად ეკონომიკურ ზრდას, პროფესიონალურ მეწარმეობას და ხელს უწყობს ბიზნეს პარტნიორობას როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის მასშტაბით. ბანკი ერთგული რჩება თავისი მოწოდების წაახალისოს ინოვაციისა და კრეატიულობის კულტურა და გახდეს კარგი კორპორაციული პრაქტიკის, ნდობის, უწყვეტობისა და პატივისცემის მაგალითი ყველა ჩვენი დაინტერესებული მხარისთვის. ბანკის მდგრადი განვითარების მთავარი ფოკუსად კომერციულ და კორპორაციულ სეგმენტების მომგებიანობის დივერსიფიკაცია და მომგებიანობის გაზრდა იქნება.

ბანკის კორპორაციული კულტურა ვითარდება მისი სტრატეგიის განვითარებასთან ერთად, იგი ყოველთვის რჩება თავისი ძირითადი ღირებულებების ერთგული და იღებს ახალ პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები

სამეთვალყურეო საბჭომ თავისი უფლებამოსილების ქვეშ შექმნა ორი კომიტეტი – აუდიტის კომიტეტი და რისკების მართვის კომიტეტი.

აუდიტის კომიტეტი

სს „პაშა ბანკი საქართველო“-ს აუდიტის კომიტეტი შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და ანგარიშვალდებულია მის წინაშე. კომიტეტი არის მმართველი ორგანო, რომელიც ადგენს და აკონტროლებს შიდა აუდიტის ფუნქციას და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ბანკის საქმიანობის მონიტორინგს. კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის შიდა კონტროლის სისტემების ზედამხედველობაზე შიდა აუდიტის ფუნქციის შექმნით. კომიტეტი ასევე ურთიერთობს ბანკის გარე აუდიტორთან და განიხილავს ფასს-ის წლიურ და შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებს. რისკების მართვის, შიდა კონტროლისა და მმართველობის პროცესების გაუმჯობესებით და შეფასებისადმი სისტემური მიდგომის დანერგვით, კომიტეტი აკონტროლებს, იცავენ თუ არა ბანკის სტრუქტურული ერთეულები და თანამშრომლები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

კომიტეტი ეხმარება სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს ბანკში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის არსებობისა და ადეკვატურობის უზრუნველყოფაში.

წევრები ინიშნებიან მაქსიმუმ ოთხი წლის ვადით, ხელახალი არჩევის შეზღუდვის გარეშე.

კომიტეტის სხდომები უნდა ჩატარდეს კვარტალში მინიმუმ ერთხელ და საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს უფრო ხშირად. 2024 წლის განმავლობაში კომიტეტმა გამართა 12 შეხვედრა.

კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობის საფუძველზე. თითო წევრს აქვს თითო ხმის უფლება. თუ ხმები თანაბარია, თავმჯდომარის ხმა ითვლება გადამწყვეტ ხმად. საჭიროების შემთხვევაში, კომიტეტის სხდომებზე შეიძლება მოწვეულ იქნენ დეპარტამენტების ხელმძღვანელები, გარე აუდიტორები ან სხვა პირები.

წევრები 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და კომიტეტზე დასწრება				
სახელი გვარი	თანამდებობა	არჩევის თარიღი	შეხვედრებზე დასწრება/ დასწრების შესაძლებლობა	დასწრების კოეფიციენტი
გიორგი ღლონტი	კომიტეტის თავმჯდომარე; სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრი	01.01.2019	12/12	100 %
ებრუ ოლან კნოტნერუს	კომიტეტის წევრი; სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი	01.01.2019	11/12	92%
შაჰინ მამმადოვი	კომიტეტის წევრი; სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	01.01.2019	12/12	100%

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ იხილოთ აუდიტის კომიტეტის დებულება ბანკის ვებგვერდზე www.pashabank.ge .

ბანკის გარე აუდიტორის ანაზღაურება

ბანკის აუდიტორის ანაზღაურება, მათ შორის პროფესიული მომსახურების საფასურის ფარგლებში, 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის მოიცავს (დღგ-ს გარეშე):

	2024	2023
ბანკის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საფასური 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	130	125
სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები	63	51
სულ გადასახდელები და ხარჯები	193	176

სხვა პროფესიონალურ აუდიტორულ ფირმებისთვის სხვა პროფესიული მომსახურებისათვის გადახდილმა მოსაკრებლებმა და ხარჯებმა 2024 წელს შეადგინა 10 ათასი ლარი (2023: 9 ათასი ლარი).

რისკების მართვის კომიტეტი

სს „პაშა ბანკი საქართველოს“ რისკების მართვის კომიტეტი შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რათა რეკომენდაციები მისცეს საბჭოს და დაეხმაროს თავისი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესრულებაში, და უზრუნველყოს, რომ რისკების იდენტიფიცირების, შეფასების, გაზომვის, კონტროლის, ანგარიშგების და მონიტორინგის პროცესები და შესაძლებლობები ეფექტიანად იქნეს გამოყენებული. კომიტეტი მონიტორინგს უწევს და უზრუნველყოფს, რომ ბანკის საქმიანობა წარიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი რისკების მითითებების შესაბამისად, ხოლო რისკების მართვის სისტემა იყოს ეფექტიანი და მიაღწიოს თავის მიზანს. კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს აწვდის ინფორმაციას სტრატეგიის ფორმულირებაზე, რომელიც ბანკს ავალდებულებს რისკების მართვას თანახმად საბჭოს გაიდლაინებისა რისკის აპეტიტის შესახებ. კომიტეტი განიხილავს რისკების მართვის პოლიტიკასა და სტრატეგიას და შიდა აუდიტის

დეპარტამენტის დასკვნებს რისკების მართვასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ის განიხილავს ბანკის რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების ანგარიშებს, განცხადებას რისკის აპეტიტის და ტოლერანტობის შესახებ და გაუთვალისწინებელ ბიზნეს რისკებზე რეაგირების გეგმას, და აფასებს საპასუხო სტრატეგიების ეფექტურობას ბანკის არსებითი რისკების აღმოსაფხვრელად. რისკების მართვის კომიტეტს თავისი მოვალეობების შესასრულებლად აქვს თავისუფალი და განუსაზღვრელი ურთიერთობის საშუალება უფროს მენეჯმენტთან, რისკისა და ფინანსური კონტროლის პერსონალთან და სხვა (შიდა და გარე) მხარეებთან.

რისკების მართვის კომიტეტის თავმჯდომარე დამოუკიდებელია და არ არის სამეთვალყურეო საბჭოს ან სხვა კომიტეტების თავმჯდომარე. რისკების მართვის კომიტეტი შედგება სამი წევრისგან, რომელთა უმრავლესობა არის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი.

რისკების მართვის კომიტეტი რეგულარულად თანამშრომლობს CRO-სთან და მის მოადგილესთან, რათა უზრუნველყოს რისკის მართვის ისეთი სისტემის განვითარება და მუდმივი ოპერირება, რომელიც ეფექტური და პროპორციულია ბიზნესში არსებული რისკების ხასიათისა, მასშტაბისა და სირთულისა. რისკების მართვის კომიტეტი თავის სხდომებზე იწვევს CRO-ს და მის მოადგილეს.

რისკების მართვის კომიტეტის სხდომები უნდა ჩატარდეს მინიმუმ კვარტალურად. აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება სპეციალურად მოწვეულ იქნეს კომიტეტის დამატებითი, რიგგარეშე სხდომები.

2024 წლის განმავლობაში რისკების მართვის კომიტეტმა გამართა თერთმეტი შეხვედრა, რომლის დროსაც განიხილებოდა რისკის მართვის სხვადასხვა საკითხები და, საჭიროების შემთხვევაში, დამტკიცდა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასამტკიცებლად. სხვათა შორის, კომიტეტის დღის წესრიგში შედიოდა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ რისკის ძირითადი ჩარჩოებისა და პოლიტიკის განხილვა და მხარდაჭერა, მათ შორის ERM პოლიტიკა, RAS ჩარჩო, ICAAP ჩარჩო, სტრესის ტესტის ჩარჩო, ინფორმაციის რისკის მართვის პოლიტიკა, ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა, საბაზრო რისკის მართვის პოლიტიკა და რისკის მართვის კომიტეტის დებულება. კომიტეტმა ასევე მხარი დაუჭირა RAS_ის დამტკიცებას ფინანსური ინსტიტუტების ლიმიტების და IFRS 9 გაუფასურების მეთოდოლოგიის დამატებით, რისკის სტრატეგიის ვადების, რეპუტაციის რისკის პრინციპებისა და KRI ჩარჩოს.

2024 წელს კომიტეტმა ჩაატარა ფინანსური და სტრატეგიული რისკების შეფასება, რომელიც მოიცავდა ფინანსური ინსტიტუტის რეიტინგის და შიდა შეფასების მეთოდოლოგიის მიმოხილვას ლიმიტის დადგენის, რისკზე დაფუძნებული ფასების ინსტრუმენტის შესახებ. მიმოხილვა ასევე გავრცელდა ძირითად ანგარიშებსა და გეგმებზე, როგორიცაა RAS სხვადასხვა კვარტალებისთვის, RHI შეფასებები, აღდგენის გეგმა და ICAAP ანგარიში 2024 წლის კვარტალში. გარდა ამისა, განხილული იყო უწყვეტობის გეგმის (BCP) პაკეტი, თაღლითობის რისკის მართვის გზამკვლევი და რისკის ანგარიშის ჩარჩო.

კომიტეტი ასევე ზედამხედველობდა კიბერუსაფრთხოების და IT-თან დაკავშირებული რისკების განხილვას, მათ შორის IT/IS რისკის გადაფასების მოხსენებას (ჯგუფური პროექტი PWC-ს), კიბერუსაფრთხოების აუდიტის ანგარიშს და შეღწევადობის ტესტის ანგარიშს, ასევე IT/IS-ის ვადაგადაცილებულ დასკვნებს.

უზრუნველყოფილი იყო ისეთი მნიშვნელოვანი დებულებებისა და ჩარჩოების დამტკიცება, როგორიცაა საკრედიტო პოლიტიკა, ანდერრაიტინგის დებულება, ბიზნესის რეაბილიტაციის დებულება, რისკის მართვის დეპარტამენტის დებულება და აღდგენის გეგმა. კომიტეტმა ასევე განიხილა სტრესის ტესტის შედეგები, მათ შორის 2024 წლის კვარტალში და უზრუნველყო მათი დამტკიცების მხარდაჭერა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

წევრები 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და კომიტეტზე დასწრება

სახელი გვარი	თანამდებობა	არჩევის თარიღი	შეხვედრებზე დასწრება/ დასწრების შესაძლებლობა	დასწრების კოეფიციენტი
ებრუ ოღან კნოტნერუს	კომიტეტის თავმჯდომარე	31.12.2019	11/11	100%
კამალა ნურიევა	კომიტეტის წევრი;	12.09.2023	11/11	100%
გიორგი ღლონტი	კომიტეტის წევრი;	31.12.2019	11/11	100%

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ იხილოთ რისკების მართვის კომიტეტის დებულება ბანკის ვებგვერდზე www.pashabank.ge

დირექტორთა საბჭო

ბანკის ყოველდღიურ საოპერაციო მართვას ახორციელებენ სრულ განაკვეთზე მომუშავე აღმასრულებლები (დირექტორები) – დირექტორთა საბჭოს წევრები. ბანკის დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში შედის ოთხი დირექტორი: გენერალური დირექტორი, რისკების დირექტორი, საცალო ბანკინგის დირექტორი და ფინანსური დირექტორი. დირექტორები ინიშნებიან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ფიქსირებული ვადით, როგორც წესი, ოთხი წლით, ვადის ბოლოს განახლების შესაძლებლობით. საბჭოს თითოეული წევრის თანამდებობა და საქმიანობის სფერო განისაზღვრება დანიშვნის დროს.

უფროსი მენეჯმენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეფექტური მმართველობის უზრუნველყოფაში და, შესაბამისად, პასუხისმგებელია ეფექტურ მართვაზე, რომელიც შეესაბამება სამეთვალყურეო საბჭოს პოლიტიკას. ყველა ადმინისტრატორი უნდა აკმაყოფილებდეს კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის და არსებული კანონმდებლობის მოთხოვნებს, მათ შორის, სებ- ის 2014 წლის 17 ივნისის № 50/04 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებას „კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

ბანკის წესდებისა და დირექტორთა საბჭოს დებულების თანახმად, დირექტორთა საბჭო ახორციელებს შემდეგ საქმიანობებს:

- აწარმოოს ბანკის ყოველდღიური ბიზნეს ოპერაციები;
- მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა ჰქონდეს განახლებული ინფორმაცია ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესახებ და მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები ბანკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე; ბანკის სხვა ფუნქციურ ერთეულებთან თანამშრომლობით, დირექტორთა საბჭომ უნდა უზრუნველყოს ბანკის გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის შენარჩუნება და უზრუნველყოს ამ მიზნისათვის საჭირო ყველა ღონისძიების გატარება;
- შეიმუშაოს კორპორაციული სტრატეგია, სტრატეგიული მიზნები, ბიზნეს გეგმა, წლიური ბიუჯეტი და წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად;
- წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს და აქციონერთა საერთო კრებას აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიშებთან ერთად;
- დასამტკიცებლად წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს გარიგებები, რომლებიც სცილდება კორპორაციული სტრატეგიისა და სტრატეგიული მიზნების, ბიზნეს გეგმისა და ბიუჯეტის ფარგლებს (არასტანდარტული გარიგებები);
- მოახსენოს სამეთვალყურეო საბჭოს კორპორაციული სტრატეგიისა და სტრატეგიული მიზნების, ბიზნეს გეგმისა და ბიუჯეტის საწინააღმდეგო ნებისმიერი მოქმედების შესახებ;
- დაამტკიცოს ყოველდღიური საოპერაციო საბანკო საქმიანობა, მათ შორის, სესხების მოზიდვა, დაკრედიტება და ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების გაცემა, სესხის რესტრუქტურიზაციის დამტკიცება, ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა და განკარგვა, ადმინისტრაციული ხარჯები, ნაღდი ფულის ლიმიტები, საჯარო კომპანიებში კაპიტალდაბანდების განხორციელება, და ხელი მოაწეროს შესაბამის ხელშეკრულებებს, გადაწყვეტილების მიღებისა და ხელმოწერის უფლებამოსილების იმ ფარგლებში, რომლებიც განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული “გადაწყვეტილების მიღების და ხელმოწერის უფლებამოსილების მატრიცით”.
- განსაზღვროს და დაამტკიცოს საკრედიტო რესურსებისა და დეპოზიტებისათვის გამოსაყენებელი მინიმალური და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთები;
- დაამტკიცოს ტექნიკური დახმარების, მომსახურების, ნასყიდობის ხელშეკრულებების ყველა ფორმა და ნოუ-ჰაუ;
- ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის დანაყოფებს ან/და განყოფილებებს, უზრუნველყოს ბანკის მიერ კლიენტებისთვის სათანადო მომსახურების გაწევა;

- გადაწყვიტოს გირაოს დაყადაღების საკითხები და მიიღოს სხვა შესაბამისი ზომები ზარალისაგან ბანკის დასაცავად;
- უზრუნველყოს ბანკში რისკების კონტროლის გამართული სისტემის არსებობა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით;
- მოამზადოს სრული და ზუსტი წლიური, ნახევარწლიური, კვარტალური ანგარიშები, და სხვა ფინანსური ინფორმაცია;
- მოამზადოს და წარადგინოს წინადადებები და რეზოლუციების პროექტები, ანგარიშები და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია ან დოკუმენტაცია, რომელიც მოთხოვნილია ან უნდა წარედგინოს სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერთა საერთო კრებას;
- გაეცნოს ბანკის შიდა და გარე აუდიტის, აუდიტის კომიტეტის და ბანკის მიერ დანიშნული ნებისმიერი ექსპერტის ან/და მრჩევლის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, ასევე ბანკის მენეჯერების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები;
- დაამტკიცოს და შეცვალოს ბანკის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში შემავალი საკითხებისა;
- შეიმუშავოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ბანკის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტები;
- შეიმუშავოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ეთიკის კოდექსი, მათ შორის - მხილების პროცედურები;
- შეიმუშავოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ბანკის ორგანიზაციულ სტრუქტურა;
- დაამტკიცოს დირექტორთა საბჭოს კომიტეტების სტრუქტურა, წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა, მათ შორის კომიტეტის წევრების დანიშვნა და მოხსნა; განიხილოს კომიტეტის ანგარიშები;
- დაამტკიცოს მმართველი პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები, სამუშაო გრაფიკები და კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებები;
- მიიღოს გადაწყვეტილება ბანკის თანამშრომლების დანიშვნის, გათავისუფლების და ანაზღაურების შესახებ, გარდა დირექტორთა საბჭოს წევრებისა; - განსაზღვროს ბანკის თანამშრომლებთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საკითხი;
- რეკომენდაცია გაუწიოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს პრემიების ფონდი ბანკის თანამშრომლებისთვის, გარდა ფრანტ-ოფისისათვის გასაცემი პრემიალური თანხებისა;
- დაამტკიცოს პრემიების თანხის გაცემა ფრანტ-ოფისის ფუნქციაზე;
- მონიტორინგი გაუწიოს კანონმდებლობასთან, შიდა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან და აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს დადგენილებებთან შესაბამისობას;
- შეასრულოს და განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
- შეასრულოს სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა საერთო კრების მიერ დაკისრებული ნებისმიერი სხვა მოვალეობა. დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელობს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც ამავდროულად არის პაშა ბანკის გენერალური დირექტორი. დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

დანიშვნის პროცესი

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია, შეიმუშაოს და აქციონერთა საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს დირექტორთა დანიშვნის ფორმალური, მკაცრი და გამჭვირვალე პროცედურა. კანდიდატების იდენტიფიცირების პროცედურა უნდა იყოს გამჭვირვალე, რათა აქციონერებმა შეძლონ დაინახონ, თუ რა ტიპის პირს ეძებს ბანკი და რატომ ინიშნება კონკრეტული პიროვნება. სამეთვალყურეო საბჭოს კადრებისა და ანაზღაურების კომიტეტი პასუხისმგებელია დირექტორთა საბჭოს ახალი წევრების მოძიებაზე. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და კადრებისა და ანაზღაურების კომიტეტის წევრები ატარებენ გასაუბრებას კანდიდატთან სამეთვალყურეო საბჭოსათვის დასამტკიცებლად მის წარდგენამდე.

კადრებისა და ანაზღაურების საექსპერტო ჯგუფი პასუხისმგებელია დირექტორებისათვის გადაბარების გეგმების განხილვაზე, გადაბარების გეგმების ყოველწლიურ განხილვაზე და საჭიროების შემთხვევაში პროცესში ცვლილებების შეტანაზე. დირექტორთა საბჭოს წევრობის კრიტერიუმებს და დანიშვნის პროცესს არეგულირებს ბანკის სტანდარტი ადმინისტრატორთა დანიშვნის შესახებ. ბანკის დირექტორის დანიშვნის პროცესი შეესაბამება საბანკო რეგულაციებს და ექვემდებარება დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის დაწესებულ კრიტერიუმებსა და შეზღუდვებს.

დირექტორთა საბჭოს წევრები

რამილ იმამოვი

დირექტრორთა საბჭოს თავმჯდომარე, გენერალური დირექტორი

ბატონი რამილი 2023 წლის ოქტომბრიდან დაინიშნა სს პაშა ბანკი საქართველოს აღმასრულებელ დირექტორად და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ.

გამოცდილება

მისი კარიერა დაიწყო Bank of Baku OJSC-ში, მიკრო ფინანსებისა და იპოთეკის განყოფილების სპეციალისტის თანამდებობაზე, შემდეგ კი Bank Respublika OJSC-ის ფილიალის მენეჯერად, სადაც მართავდა გაყიდვებსა და უზრუნველყოფდა მომსახურების ხარისხს. 2014 წელს შეუერთდა Kapital Bank OJSC-ში ფილიალების ქსელის მართვის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე.

2018 წელს ბატონი რამილი გახდა საცალო გაყიდვების მთავარი ოფიცერი Kapital Bank OJSC-ში. ის წარმატებით მართავდა მრავალ დეპარტამენტს და ხელმძღვანელობდა გაყიდვების სტრატეგიებს.

განათლება

რამილ იმამოვმა დაამთავრა აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტი, ბაკალავრის და მაგისტრატურის ხარისხით ეკონომიკური რეგულირების მიმართულებით.

პარვინ მამმადოვი

დირექტორთა საბჭოს წევრი, ფინანსური დირექტორი

ბატონი პარვინი 2023 წლის ოქტომბერში პაშა ბანკ საქართველოს შემოუერთდა, როგორც დირექტორთა საბჭოს წევრი და ფინანსური დირექტორი.

გამოცდილება

პარვინ მამმადოვმა მისი კარიერა ბაქოში, Rabita Bank OJSC-ში დაიწყო, შემდეგ კი KredAgro NBCO განაგრძო.

2012 წლის აპრილს ის დაინიშნა კაპიტალ ბანკში ფინანსურ დირექტორად.

განათლება

ბატონმა პარვინმა ბაკალავრის ხარისხი 2009 წელს თურქეთში, ეკონომიკის 9 ეილულის უნივერსიტეტში, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, ხოლო მაგისტრის ხარისხი ამავე მიმართულებით ბაქოში, UNEC-ის უნივერსიტეტში მიიღო.

ლევან ალადაშვილი

დირექტორთა საბჭოს წევრი, რისკების დირექტორი

2021 წლის 17 მაისიდან ლევან ალადაშვილს უკავია სს პაშა ბანკი საქართველოს რისკების დირექტორისა და დირექტორთა საბჭოს წევრის თანამდებობები.

გამოცდილება

ბატონმა ლევანმა პროფესიული კარიერა დაიწყო პროკრედიტ ბანკ საქართველოში. 2006-2015 წლებში მუშაობდა ვითიბი ბანკ საქართველოში კორპორაციული საბანკო და საკრედიტო რისკების დეპარტამენტებში.

2015 წლიდან ლევან ალადაშვილმა პროფესიული კარიერა განაგრძო პაშა ბანკი საქართველოს საკრედიტო რისკების დეპარტამენტის უფროსად. 2019 წელს ბატონი ალადაშვილი დაინიშნა რისკების დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე.

განათლება

ლევან ალადაშვილმა 2005 წელს დაამთავრა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი და მიიღო ბაკალავრის ხარისხი საბანკო საქმის სპეციალობით. მას არაერთი პროფესიული ტრეინინგი აქვს გავლილი რისკების შეფასების, რისკების მენეჯმენტის და ფინანსური ანალიზის მიმართულებებით.

ანზორ მანწკავა

დირექტორთა საბჭოს წევრი, საოპერაციო დირექტორი

2023 წელს ანზორ მანწკავა შემოუერთდა სს პაშა ბანკ საქართველოს დირექტორთა საბჭოს წევრისა და საცალო ბიზნესის ხელმძღვენელის თანამდებობაზე. 2024 წლიდან ის იკავებს საოპერაციო დირექტორის პოსტს.

გამოცდილება

ანზორის 20 წლიანი კარიერა ძირითადად ფინანსურ სექტორს უკავშირდება. მან 2003 წელს დაიწყო მუშაობა აუდიტორულ საკონსულტაციო კომპანია UBC interna- tional-ში, 2005 წელს შეუერთდა PricewaterhouseCoo-
pers-ის გუნდს ფინანსური აუდიტორის პოზიციაზე, რის შემდეგაც 2006 წელს დაიკავა შიდა აუდიტის განყოფილების უფროსის თანამდებობა სს თიბისი ბანკში. 2012 წელს ანზორმა თიბისი ბაკნში ჩაიბარა მომხმარებლის გამოცდილებისა და ბიზნეს პროცესების მართვის დეპარტამენტი, რის შემდეგაც 2014 წელს ხელმძღვანელობდა საოპერციო რისკების მართვისა და ინფორმაციული უსაფრთხოების განყოფილებას თიბისი ბანკში.
ანზორი 2015 წელს სასწავლებლად გაემგზავრა დიდ ბრიტანეთში, ვარვიკის ბიზნეს სკოლაში, რომლის დასრულების შემდეგაც მისი პროექტის და დისერტაციის ფარგლებში ბრიტანეთის უდიდეს იპოთეკის გამცემ ორგანიზაციას Nationwide Building Society-ს გაუანალიზა და დაუწერა სოციალური მედიის სტრატეგია.

2016 წელს ანზორი დაბრუნდა საქართველოში და დაიკავა თიბისი ფეის დირექტორის თანამდებობა, რა დროსაც გუნდთან ერთად მნიშვნელოვნად გაზარდა კომპანიის ოპერაციები და მომგებიანობა. ამის შემდეგ ის შეუერთდა ანაკლიის განვითარების კონსორციუმს საოპერაციო დირექტორის თანამდებობაზე, რა დროსაც მუშაობდა სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან და სამშენებლო კომპანიებთან პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე.

იგი ასევე დაკავებული იყო სხვადასხვა საკონსულტაციო საქმიანობით საქართველოში არსებულ სამშენებლო კომპანიებთან, რაც ძირითადად ეხებოდა ორგანიზაციებში კორპორაციული მმართველობის გაუმჯობესებას.

2021 წლიდან იგი ხელმძღვანელობდა ელექტრონული კომერციის პლატფორმა extra.ge-ს, რის შემდეგაც,2023 წელს, ანზორ მანწკავა შემოუერთდა სს პაშა ბანკ საქართველოს დირექტორთა საბჭოს წევრისა და საცალო ბიზნესის ხელმძღვენელის თანამდებობაზე.

განათლება

ანზორ მანწკავამ 2004 წელს მიიღო ბაკალავრის ხარისხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობით, ეკონომიკის ფაკულტეტზე. ის 2016 წელს ასევე დაეუფლა ვარვიკის ბიზნეს სკოლის მაგისტრის ხარისხს ბიზნეს ადმინისტრირებაში.

დირექტორთა საბჭოს წევრების ანგარიშგების რიგი ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ სქემაზე



ბანკს აქვს კარგად გაწერილი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების განაწილებას, რისკების ეფექტურ იდენტიფიცირებას, მართვის/მონიტორინგის და ანგარიშგების პროცედურებს, შიდა კონტროლის ადეკვატურ მექანიზმებს, მათ შორის ადმინისტრაციული და ბუღალტრული აღრიცხვის მძლავრ პროცედურებს, ეფექტურ IT სისტემებს და კონტროლს რისკების მართვაზე, ანაზღაურების პოლიტიკას/პროცედურებს.

დირექტორთა საბჭოს კომიტეტები

კორპორაციული მართვის პოლიტიკის თანახმად, დირექტორთა საბჭოს შეუძლია შექმნას მუდმივმოქმედი ან/ და ad hoc კომიტეტები, რომლებსაც ექნებათ ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრული მოვალეობების შესრულების ვალდებულება. დირექტორთა საბჭო ამტკიცებს კომიტეტების სტრუქტურას, წევრთა რაოდენობას და შემადგენლობას, მათ შორის კომიტეტის წევრების დანიშვნას და მოხსნას;

დირექტორთა საბჭო ერთობლივად პასუხისმგებელია კომიტეტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და განხორციელებულ საქმიანობაზე. კომიტეტებმა უნდა განახორციელონ მხოლოდ ის უფლებამოსილე- ბები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება მათ ან დელეგირებულია მათზე და მათი ქმედებები მთლიანო- ბაში არ უნდა აღემატებოდეს დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილებებს. პერიოდულად, დირექტორთა საბჭომ თითოეული კომიტეტისგან უნდა მიიღოს ანგარიში მისი განხილვებისა და დასკვნების შესახებ.

ამჟამად დირექტორთა საბჭოს ყავს სამი კომიტეტი:

საკრედიტო კომიტეტი

კომიტეტი შეიქმნა იმისათვის, რომ დაეხმაროს დირექტორთა საბჭოს მისი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების განტვირთვაში ბიზნეს საქმიანობის კონკრეტულ სფეროებში. კომიტეტი მონიტორინგს უწევს საკრედიტო რისკებთან დაკავშირებულ საკითხებს, ამტკიცებს ინდივიდუალურ ან ჯგუფურ კრედიტებს, ან დელეგირებულ უფლებამოსილებაში შემავალ სხვა საკრედიტო პროდუქტებს, გასცემს რეკომენდაციებს ინდივიდუალური ან ჯგუფური საკრედიტო რისკების შესახებ, გასცემს რეკომენდაციებს საკრედიტო რისკის მართვასთან დაკავშირებით, ახორციელებს სასესხო პორტფელის, სავაჭრო-საფინანსო პორტფელის, საინვესტიციო პორტფელისა და უზრუნველყოფის პორტფელის მონიტორინგს, მართავს პრობლემურ სესხებს და უზრუნველყოფს სესხის ზარალისაგან დაზღვევის რეზერვის ადეკვატურობას.

კომიტეტს გააჩნია დებულება, რომელიც არეგულირებს მის საქმიანობას და შეიცავს დებულებებს უფლებამოსილების, კომპეტენციების, შემადგენლობის, სამუშაო პროცედურების, უფლება- მოვალეობების ჩარჩოების შესახებ.

აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი

კომიტეტი შეიქმნა იმისათვის, რომ დაეხმაროს დირექტორთა საბჭოს მისი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების განტვირთვაში ბიზნეს საქმიანობის კონკრეტულ სფეროებში. კომიტეტი მუშაობს ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პრაქტიკის დანერგვაზე საპროცენტო განაკვეთის რისკების, ლიკვიდურობის რისკებისა და საბაზრო რისკების თვალსაზრისით. ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვა ეფუძნება პოლიტიკას და მითითებებს რისკის აპეტიტის, შემოსავლების მიზნებისა და ამოგების განაკვეთების შესახებ, ისევე, როგორც რისკების მართვას. შემავალი სფეროები მოიცავს კაპიტალის თანაფარდობას, ლიკვიდურობას, აქტივების სტრუქტურას, სესხებისა და დეპოზიტების განაკვეთის პარამეტრებს და საბანკო პორტფელის საინვესტიციო რეკომენდაციებს. კომიტეტის ძირითადი მიზნები მოიცავს ლიკვიდურობის პოზიციების, კაპიტალის კოეფიციენტების შენარჩუნებას დაგეგმილ მინიმუმზე და სადეპოზიტო ბაზის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურის შენარჩუნებას, შემოსავლების საკმარისი ნაკადის გენერირებას მომგებიანობის მიზნების დასაკმაყოფილებლად.

კომიტეტს გააჩნია დებულება, რომელიც არეგულირებს მის საქმიანობას და შეიცავს დებულებებს უფლებამოსილების, კომპეტენციების, შემადგენლობის, სამუშაო პროცედურების, უფლება- მოვალეობების ჩარჩოების შესახებ.

ინფორმაციული ტექნოლოგიების კომიტეტი

ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) კომიტეტი შეიქმნა, რომ დაეხმაროს დირექტორთა საბჭოს ბანკის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და უსაფრთხოების მართვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების შესრულებაში. კომიტეტი მუშაობს ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებაზე, პროექტების შეფასებაზე, მათი პროგრესის მონიტორინგზე და ისეთი საკითხების გადაჭრაზე, რომლებიც გავლენას ახდენენ IT საოპერაციო პროცესებზე. კომიტეტი უზრუნველყოფს IT-სისტემების საიმედოობას, უწყვეტ მუშაობას და უსაფრთხოებას, აგრეთვე, შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკების შემუშავებას. ის რეგულარულად განიხილავს ბანკის IT სტრატეგიას და უზრუნველყოფს, რომ ინიციატივები შეესაბამებოდეს ბიზნესის მიზნებსა და საზედამხედველო მოთხოვნებს. მისი ძირითადი ამოცანებია ოპერაციული სტაბილურობის შენარჩუნება, მონაცემთა დაცვა და ბანკის ტექნოლოგიური განვითარების სტრატეგიული მხარდაჭერა.

კომიტეტს აქვს სტატუტი რომელიც არეგულირებს მის საქმიანობას და მოიცავს დებულებებს უფლებამოსილების ფარგლების, კომპეტენციების, შემადგენლობის, სამუშაო პროცედურების, ასევე უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ.

შიდა აუდიტის დეპარტამენტი

სს „პაშა ბანკი საქართველოს“ შიდა აუდიტის დეპარტამენტი პასუხისმგებელია ბანკის რისკების მართვის, შიდა კონტროლისა და კორპორაციული მართვის პროცესების რეგულარულ, დამოუკიდებელ, ობიექტურ აუდიტზე. დეპარტამენტის ძირითადი ამოცანაა ეფექტიანობის გაზრდა და ბანკის ოპერაციების სრულყოფის უზრუნველყოფა.

შიდა აუდიტის დეპარტამენტი დამოუკიდებელია ბანკის მენეჯმენტისგან და ანგარიშვალდებულია უშუალოდ აუდიტის კომიტეტის წინაშე.

შიდა აუდიტის დეპარტამენტის წესდებაში აღწერილია დეპარტამენტის დანიშნულებასთან, უფლება-მოვალეობებთან, საქმიანობის სფეროსთან, ანგარიშგებასთან და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული საკითხები. შიდა აუდიტის პოლიტიკისა და პროცედურების სახელმძღვანელო განსაზღვრავს ყოვლისმომცველი პოლიტიკის, მეთოდოლოგიის, პროცედურებისა და მითითებების ერთობლიობას რისკებზე დაფუძნებული და დამატებული ღირებულების მქონე აუდიტის ჩატარებისთვის.

რისკების დოკუმენტურ შეფასებაზე დაფუძნებული აუდიტის წლიური გეგმა განიხილება და მტკიცდება აუდიტის კომიტეტის მიერ. აუდიტის დასკვნები ეცნობება აუდიტის კომიტეტს. დეპარტამენტის ბიუჯეტს და კომპენსაციას აუდიტის კომიტეტის წინადადების საფუძველზე განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭო.

შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსს ნიშნავს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო აუდიტის კომიტეტის წარდგინებისა და თანხმობის საფუძველზე. ყველა სხვა თანამშრომელს ნიშნავს დეპარტამენტის უფროსი აუდიტის კომიტეტთან შეთანხმებით.

ანაზღაურების პოლიტიკა დირექტორებისთვის

2022 წლის 16 მარტს აქციონერთა საერთო კრებამ დაამტკიცა მატერიალური რისკების ამღები პირებისთვის(“პოლიტიკა”). პოლიტიკა ადგენს ბანკის აღმასრულებელი და არა აღმასრულებელი მატერიალურად ამღებ პირთა ანაზღაურებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფს სამართლიან, რისკზე დაფუძნებულ, კორპორაციულ კულტურასთან შესაბამის, კონკურენტუნარიან და შესაბამის ანაზღაურებას იმ ბაზრისთვის, რომელშიც ბანკი მუშაობს. წინამდებარე დებულება უზრუნველყოფს, რომ ანაზღაურება მიზანშეწონილი იყოს ბანკის მატერიალურად ამღებ პირთა მოზიდვის, მოტივაციის, შენარჩუნებისა და სამართლიანად დაჯილდოების მიზნით და შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის № 215/04 ბრძანებას კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე.

შრომის ანაზღაურების პრინციპები სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, პოლიტიკაში მიღებულია შემდეგი პრინციპები:

- ბანკის აღმასრულებელი დირექტორების ანაზღაურება ხდება მხოლოდ ფიქსირებული ანაზღაურების სახით.

- ბანკის აღმასრულებელი დირექტორების არ ეძლევათ შესრულებაზე დაფუძნებული ანაზღაურების პრემიები.

- ანაზღაურება შეიძლება განსხვავდებოდეს რეზიდენტი და არარეზიდენტი აღმასრულებელი დირექტორის წევრებისთვის. ფიქსირებული ანაზღაურების გარდა, აღმასრულებელი დირექტორის წევრებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ანაზღაურება, თუ წევრი არის აღმასრულებელი დირექტორის თავმჯდომარე, აღმასრულებელი დირექტორის თავმჯდომარის მოადგილე, აღმასრულებელი დირექტორის კომიტეტის წევრი ან აღმასრულებელი დირექტორის კომიტეტის თავმჯდომარე. სხვაობა აღმასრულებელი დირექტორის წევრების უმაღლეს წლიურ (დამატებითი ანაზღაურების ჩათვლით) და ყველაზე დაბალ წლიურ ანაზღაურებას შორის არ უნდა იყოს აღმასრულებელი დირექტორის წევრების ყველაზე დაბალი ანაზღაურების 30%-ზე მეტი.

- აღმასრულებელი დირექტორის თითოეულ წევრს აუნაზღაურდება ყველა გონივრული ხარჯი (მოგზაურობის ხარჯები, მოგზაურობის დაზღვევა, განთავსება და ა.შ.), რომელიც გაწეულია აღმასრულებელი დირექტორზე ან მმართველი ორგანოების სხვა სხდომებზე დასწრებასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში თუ აღმასრულებელი დირექტორის და სხვა მმართველ ორგანოთა სხდომები იყოს საქართველოს ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ.

- აღმასრულებელი დირექტორის თითოეულ წევრს აღმასრულებელი დირექტორის ან სხვა მმართველი ორგანოს წევრის მოვალეობის შესრულებისას აქვს კანონიერი უფლება მოითხოვოს დამოუკიდებელი საკონსულტაციო მომსახურება და აღმასრულებელი დირექტორის წევრებისთვის გაწეული ასეთი მომსახურების ხარჯები ანაზღაურდება ბანკის მიერ.

- ბანკს ეკრძალება დადოს ნებისმიერი სახის საკონსულტაციო ხელშეკრულება აღმასრულებელი დირექტორის წევრებთან და დამატებით გადაიხადოს ბანკისთვის გაწეული მომსახურებისთვის, რათა არ შელახოს აღმასრულებელი დირექტორის წევრების დამოუკიდებლობა.

შრომის ანაზღაურების პრინციპები დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის

აღმასრულებელი დირექტორების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, პოლიტიკაში მიღებულია შემდეგი პრინციპები:

- აღმასრულებელი დირექტორების ანაზღაურება შედგება ფიქსირებული და შესრულებაზე დაფუძნებული ცვალებადი ანაზღაურებისა და სხვა სარგებლისგან.

- აღმასრულებელ დირექტორებს ეკუთვნით ყოველწლიური ბონუსები პრემიების ფონდიდან იმ პირობით, რომ ისინი აკმაყოფილებენ თავიანთ KPI-ს.

- ბანკის ანაზღაურების სისტემამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას მის მდგომარეობას მარეგულირებელ მოთხოვნებთან კაპიტალის შესაბამისობის თვალსაზრისით. თუ ასეთი არსებითი რისკი მაინც არსებობს, განხილულ უნდა იქნეს დირექტორებისთვის ცვლადი ანაზღაურების გადახდისგან თავის შეკავება.

- შესრულებაზე დაფუძნებული ცვლადი ანაზღაურების წლიური ოდენობა თითოეული აღმასრულებელი დირექტორისთვის არ უნდა აღემატებოდეს მისი ფიქსირებული წლიური ანაზღაურების 100%-ს, ნებისმიერი გონივრული გამონაკლისის გარდა, რომელიც დამტკიცებულია აქციონერთა საერთო კრების მიერ, მაგრამ მაქსიმუმ 200%-ანი ლიმიტით.

- გადავადების პრინციპი - ცვლადი ანაზღაურების არანაკლებ 40% ან - სადაც MRT-ების ცვლადი ანაზღაურება არსებითია (აღემატება ფიქსირებული ანაზღაურების 100%-ს და/ან აღემატება 500,000 ლარს ან მის ეკვივალენტს) - შესაბამისად ცვლადი ანაზღაურების 60% გადაიდება. ვადა მინიმუმ 3 (სამი) წელი. ამ მოთხოვნიდან გადახრა დასაშვებია, თუ პირის წლიური ცვლადი ანაზღაურება არამატერიალურია (არ აღემატება წლიური ფიქსირებული ანაზღაურების 20%-ს).

- გადავადებული ანაზღაურება შეიძლება გადაიხადოს ან/და სრულად დაისაკუთროს გადავადების პერიოდის ბოლოს ან პროპორციულად გადანაწილდეს თანაბარ წლიურ შენატანებად გადავადების პერიოდის განმავლობაში. პროპორციული გადახდების შემთხვევაში, გადავადებული ცვლადი ანაზღაურების პირველი შენატანი შეიძლება გადაიხადოს გადავადების პერიოდის დაწყებიდან არა უადრეს ერთი წლისა, ხოლო შემდგომი გადახდა არ უნდა განხორციელდეს 12 თვეში ერთხელ უფრო ხშირად.

აღმასრულებელი დირექტორის საბაზისო ანაზღაურებასთან დაკავშირებით სამეთვალყურეო საბჭოსთვის რეკომენდაციების მომზადებისას, კადრებისა და ანაზღაურების კომიტეტი განიხილავს პასუხისმგებლობას, ქვეყნისთვის სპეციფიკურ ანაზღაურების ნიშნულებს, რეზიდენტობას და მოქმედ კანონმდებლობას. კადრებისა და ანაზღაურების კომიტეტი ხელმძღვანელობს თანაბარი ანაზღაურების პრინციპით.

სხვაობა ანაზღაურებაში შეიძლება გამომდინარეობდეს ისეთი „მატერიალური ფაქტორებიდან“, როგორიცაა გადახდის განაკვეთების გეოგრაფიული ვარიაციები, რომლებიც განისაზღვრება ცხოვრების ღირებულებით. კადრების ბაზრის მდგომარეობამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს აღმასრულებელი დირექტორების განსხვავებული ანაზღაურება და შეიძლება

წარმოადგენდეს ობიექტურად დასაბუთებულ ეკონომიკურ საფუძველს ანაზღაურების სხვაობისთვის. კადრების და ანაზღაურების კომიტეტი განიხილავს აღმასრულებელი დირექტორების ანაზღაურებას პერიოდულად, მინიმუმ ყოველწლიურად, რათა უზრუნველყოს ანაზღაურების დონეების შენარჩუნება საბაზრო მოლოდინების შესაბამისად. შრომის ანაზღაურებიდან გამოქვითვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. კადრებისა და ანაზღაურების კომიტეტი აცნობებს აქციონერთა საერთო კრებას ამ პოლიტიკისგან გადახრის ყველა შემთხვევის შესახებ, გადახრების მიზეზების მითითებით.

ცვალებად ანაზღაურებაზე შეიძლება გავრცელდეს «clawback» და «malus» შეთანხმებების პირობები. ანაზღაურება შეიძლება დაკორექტირდეს (შემცირდეს ან გაუქმდეს) ბანკის რეალიზებული რისკების გათვალისწინებით ანაზღაურებამდე ან ანაზღაურების დროს. ანაზღაურების კორექტირება (შემცირება ან გაუქმება) შესაძლებელია ანაზღაურების შემდეგ, არასწორი ანგარიშგების გამო ან შიდა პოლიტიკის ან სხვა სამართლებრივი მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო, ან ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა დარღვევების გამო. აღმასრულებელ დირექტორთან შრომითი ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა არ უნდა გახდეს გადახდის გადავადების პერიოდის შეცვლის ან ანაზღაურების კორექტირების საფუძველი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ცვლადი ანაზღაურების კორექტირების სხვა მიზეზები.

აღმასრულებელი დირექტორის გადადგომის შემთხვევაში, საბჭომ უნდა შეაფასოს გადადგომის მიზეზი, რათა მან აუნაზღაუროს აღმასრულებელ დირექტორს შესრულება და არ დააჯილდოვოს იგი წარუმატებლობისთვის.

ანაზღაურებასთან დაკავშირებული რისკები გავლენას ახდენს ბანკის საქმიანობის ყველა ასპექტზე, მათ შორის ფინანსურ მაჩვენებლებზე, კულტურაზე, ოპერაციებზე, რეპუტაციაზე და მმართველობაზე. ამ რისკების შესამცირებლად, სამეთვალყურეო საბჭო მოწოდებულია შეინარჩუნოს ანაზღაურების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიის შესაბამისობას, ეფუძნება შესრულების მკაფიო მატრიცას და რეგულირდება სათანადო წესით.

ბონუსის მიღების შესაძლებლობა

დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, ბანკის დირექტორთა საბჭო უფლებამოსილია მიიღოს წლიური ბონუსები იმ პირობით, თუ განხორციელდება ბიუჯეტით დაგეგმილი წმინდა მოგების 75%. ნებისმიერ გამონაკლისს ამტკიცებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო. მთლიანი ბონუსის ოდენობა გამოითვლება შემდეგი KPI-ებისა და მათი შესაბამისი წონების საფუძველზე:

	KPI	წონა
1	ქცევითი KPI	10%
2	შესრულებითი KPIs	90%

ქცევითი KPI

ქცევითი KPI არის დირექტორთა საბჭოს ემოციური და სოციალური ინტელექტის 360-გრადუსიანი შეფასება და იკვლევს წევრების შესაძლებლობებს, გამოიცნონ საკუთარი და სხვისი გრძნობები, მოახდინონ საკუთარი თავის მოტივირება და ეფექტურად მართონ საკუთარი და სხვისი ემოციები იგი აღწერს ქცევებს, რომლებიც ეხმარება ადამიანებს რთულ სიტუაციებში, ან როდესაც მათი კარიერა უფრო მომთხოვნი ხდება და ითხოვს ისეთ თვისებებს, რომლებიც ეხმარება ადამიანებს ცვლილებებისადმი ეფექტურად გამკლავებაში.

შესრულებული სამუშაოს KPI-ები

უკუგება საშუალო საკუთარ კაპიტალზე (ROAE)
შემოსავლის მიმართ დანახარჯების კოეფიციენტი (COI)
უმოქმედო სესხების კოეფიციენტი (NPL)
ბიზნეს პორტფელის ოდენობა
ვადაგადაცილებული ღია მაღალრისკიანი აუდიტორული დასკვნების რაოდენობა

ბონუსის დაანგარიშება

დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, ბანკის დირექტორთა საბჭო უფლებამოსილია მიიღოს წლიური ბონუსები იმ პირობით, თუ განხორციელდება ბიუჯეტით დაგეგმილი წმინდა მოგების 75%. ნებისმიერ გამონაკლისს ამტკიცებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო. მთლიანი ბონუსის ოდენობა გამოითვლება შემდეგი KPI-ებისა და მათი შესაბამისი წონების საფუძველზე:დირექტორთა საბჭოს თითოეული წევრი უფლებამოსილია მიიღოს საბაზისო ბონუსი, რომელიც დაკორექტირებულია ზემოთ მოცემული KPI-ების მეშვეობით შეფასებულ შესრულებაზე დაყრდნობით.

საბაზისო ბონუსი უდრის ან წმინდა მოგების %-ს, ან დირექტორთა საბჭოს წევრის ყოველთვიური მთლიანი ხელფასის ჯერად ოდენობას.

საბაზო ბონუსის კორექტირება გამოითვლება შემდეგი ცხრილის საფუძველზე:

მიღწევის დონე	მიღწევის ქულა	საბაზისო ბონუსის კორექტირება %-ში
მოლოდინის გადაჭარბება	4.26-5.00	110
მოლოდინის გამართლება	3.00-4.25	100
თითქმის ისე, როგორც მოსალოდნელი იყო.	2.76-2.99	80
მოლოდინს ქვემოთ	1.75-2.75	60
მოლოდინზე ძალიან დაბალი	0.00-1.74	40

ფინანსური წლის განმავლობაში მინიჭებული ანაზღაურება

		დირექტორატი	სამეთვალყურეო საბჭო	სხვა მატერიალური რისკის ამღები პირები
ფიქსირებული ანაზღაურება	თანამშრომელთა რაოდენობა	5	3	16
	მთლიანი ფიქსირებული ანაზღაურება	1,668,781	354,290	2,091,286
	მათ შორის: ფულადი ფორმის	1,427,281	354,290	1,958,630
	მათ შორის: გადავადებული			
	მათ შორის: აქციები და აქციებთან დაკავშირებული ინსტრუმენტები			
	მათ შორის: გადავადებული			
	მათ შორის: სხვა ფორმის	241,499		132,656
	მათ შორის: გადავადებული			
ცვალებადი ანაზღაურება	თანამშრომელთა რაოდენობა			
	მთლიანი ცვალებადი ანაზღაურება	760,518	0	926,619
	მათ შორის: ფულადი ფორმის	658,351.83		831,959.50
	მათ შორის: გადავადებული	204,242.73		294,618.98
	მათ შორის: აქციები და აქციებთან დაკავშირებული ინსტრუმენტები			
	მათ შორის: გადავადებული			
	მათ შორის: სხვა ფორმის	102,166.13		94,659.80
	მათ შორის: გადავადებული			
სულ ანაზღაურება		2,429,299	354,290	3,017,905

საბჭოს გადაწყვეტილებისთვის განკუთვნილი საკითხების გრაფიკი

1.	ბანკის სტრატეგიული ზედამხედველობა და კონტროლი;	N/A
2.	კორპორაციული სტრატეგიის და სტრატეგიული მიზნების დამტკიცება, სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი სტრატეგიულ მიზნებთან და საოპერაციო გეგმებთან მიმართებაში;	მარტივი უმრავლესობა
3.	ბიზნეს გეგმის დამტკიცება, ბიზნეს გეგმის შესრულების მონიტორინგი;	მარტივი უმრავლესობა
4.	ყოველწლიური ბიუჯეტის დამტკიცება, ყოველწლიური ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგი;	მარტივი უმრავლესობა
5.	ახალი საბანკო/კომერციული საქმიანობის დაწყება და არსებული საქმიანობის შეწყვეტა ან შეჩერება;	მარტივი უმრავლესობა
6.	ახალი საწარმოებისა და ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;	მარტივი უმრავლესობა
7.	სხვა კომპანიებში აქციების შეძენა და გასხვისება;	მარტივი უმრავლესობა
8.	ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცება;	მარტივი უმრავლესობა
9.	ეთიკის კოდექსის დამტკიცება და მხილების პროცედურები;	მარტივი უმრავლესობა
10.	აქციონერთა კრების გადაწყვეტილების თანახმად გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ;	მარტივი უმრავლესობა
11.	შუალედური დივიდენდის გამოცხადება და საბოლოო დივიდენდის რეკომენდაცია;	მარტივი უმრავლესობა
12.	ბანკის მიერ აქციების გამოსყიდვა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;	მარტივი უმრავლესობა
13.	რისკების მართვის საქმიანობის სტრატეგიული ზედამხედველობა;	N/A
14.	რისკის აპეტიტის შესახებ განცხადების დამტკიცება, წლიური განხილვების ჩატარება;	მარტივი უმრავლესობა
15.	ბიზნეს უწყვეტობის გეგმის დამტკიცება;	მარტივი უმრავლესობა
16.	კონფლიქტის ან შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის და დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების განხორციელების ავტორიზაცია;	მარტივი უმრავლესობა
16.1.	გარიგებები დაკავშირებულ იურიდიულ პირებთან;	მარტივი უმრავლესობა
16.2.	გარიგებები დაკავშირებულ პირებთან;	მარტივი უმრავლესობა
16.3.	შეთანხმებები დაკავშირებულ იურიდიულ პირებთან;	მარტივი უმრავლესობა
16.4.	დაკავშირებული მხარისთვის ნაღდი ფულით დაფარული საკრედიტო პროდუქტების (მათ შორის, სავაჭრო-საფინანსო პროდუქტების) დამტკიცება;	მარტივი უმრავლესობა
17.	ინტერესთა კონფლიქტთან და დაკავშირებულ მხარეთა გარიგებებთან დაკავშირებული პოლიტიკის, სტანდარტებისა და პროცედურების დამტკიცება;	მარტივი უმრავლესობა
18.	დირექტორთა საბჭოს სტრუქტურის, რაოდენობისა და შემადგენლობის დამტკიცება, მისი წევრების დანიშვნისა და გათავისუფლების ჩათვლით;	მარტივი უმრავლესობა
19.	დირექტორთა საბჭოს წევრების უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა, მათი საქმიანობის მონიტორინგი და ზედამხედველობა, დირექტორთა საბჭოდან ანგარიშების გამოთხოვა;	მარტივი უმრავლესობა
20.	დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის გადაბარების პოლიტიკისა და გადაბარების გეგმების დამტკიცება;	მარტივი უმრავლესობა
21.	შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება და დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების პაკეტების განსაზღვრა;	მარტივი უმრავლესობა
22.	თანამშრომლებისთვის, მათ შორის ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის, პრემიების ან/და დამატებითი სარგებლის განსაზღვრის მარეგულირებელი ჩარჩოს დამტკიცება;	მარტივი უმრავლესობა

23.	სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების სტრუქტურის, ზომის და შემადგენლობის დამტკიცება, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების წევრების დანიშვნა და განთავისუფლება; სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების ანგარიშების განხილვა;	მარტივი უმრავლესობა
24.	გარე აუდიტორების არჩევა;	მარტივი უმრავლესობა
25.	სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და დათხოვნა.	მარტივი უმრავლესობა
26.	კორპორაციული მდივნის დანიშვნა და გათავისუფლება;	მარტივი უმრავლესობა
27.	ბანკის მიერ სესხების მოზიდვა;	მარტივი უმრავლესობა
28.	ბანკის ან ნებისმიერი მესამე პირის სესხების ან სხვა ვალდებულებების უზრუნველყოფა, თუ ისინი სცილდება ბანკის რეგულარული ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებს;	მარტივი უმრავლესობა
29.	დაკრედიტებისა და ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების გაცემა (თანხით; ვადიანობით);	მარტივი უმრავლესობა
30.	საკრედიტო აქტივის გაყიდვა, მისი თანხის გაუთვალისწინებლად, თუ: ეს არის საკრედიტო აქტივების კოლექტიური გაყიდვა (ერთზე მეტი საკრედიტო აქტივის ერთდროულად გაყიდვა); ბანკი იზარალებს ამ საკრედიტო აქტივის გაყიდვიდან, და გაყიდვის თანხა აღემატება დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების ფარგლებს;	მარტივი უმრავლესობა
31.	სესხის რესტრუქტურიზაციის დამტკიცება;	მარტივი უმრავლესობა
32.	სესხის ჩამოწერის დამტკიცება;	მარტივი უმრავლესობა
33.	ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენისა და გასხვისების წესის დამტკიცება;	მარტივი უმრავლესობა
34.	ობლიგაციების გამოშვების დამტკიცება;	მარტივი უმრავლესობა
35.	ადმინისტრაციული ხარჯების დამტკიცება;	მარტივი უმრავლესობა
36.	ნაღდი ფულის ლიმიტების დამტკიცება;	მარტივი უმრავლესობა
37.	კაპიტალდაბანდების განხორციელება საჯარო კომპანიებში;	მარტივი უმრავლესობა
38.	ნებისმიერი კაპიტალდაბანდების განხორციელება კერძო კომპანიებში;	მარტივი უმრავლესობა
39.	ბანკის წესდების ტიპის, ჩარჩოს ტიპის და პოლიტიკის ტიპის დოკუმენტების დამტკიცება და შესწორება;	მარტივი უმრავლესობა
40.	პირობების და წესების განსაზღვრა და დამტკიცება, რომელიც გამოიყენება ბანკის თანამშრომლებისთვის საკრედიტო რესურსებთან და დეპოზიტებთან მიმართებაში;	მარტივი უმრავლესობა
41.	აქციონერთა საერთო კრების მოწვევა, თუ ითვლება, რომ ეს საჭიროა “ბანკის” ინტერესებისათვის;	მარტივი უმრავლესობა
42.	ზედამხედველობის გაწევა და ბანკის წარმომადგენლობა დირექტორთა საბჭოს წევრებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში;	მარტივი უმრავლესობა
43.	საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, ბანკის სახელით დირექტორთა საბჭოს წევრების წინააღმდეგ სამართლებრივი დავის წარმოება, საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე დირექტორთა საბჭოს წევრების მიმართ სარჩელის წარდგენა, თუ საკითხი ეხება დირექტორთა საბჭოს წევრების პასუხისმგებლობას;	მარტივი უმრავლესობა
44.	შესაბამისი ზომების დანერგვის ზედამხედველობა შიდა და გარე აუდიტორის შემოწმების შედეგების მიხედვით, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგების მიხედვით;	მარტივი უმრავლესობა
45.	გადაწყვეტილებების მიღება იმ საკითხებზე, რომელიც სცდება დირექტორატის უფლებამოსილებების ფარგლებს;	მარტივი უმრავლესობა
46.	აქციონერთა კრების მოთხოვნით სხვა მოვალეობების შესრულება.	მარტივი უმრავლესობა

რისკი და კონტროლის მექანიზმები

ბანკი ისწრაფვის შეიმუშაოს საიმედო, ეფექტური და ყოვლისმომცველი რისკის მართვის სტრატეგია და პროცესები შიდა კაპიტალის ოდენობის, ტიპის და განაწილების უწყვეტი შეფასების და შენარჩუნების მიზნით, რომელსაც ბანკი ადეკვატურად თვლის იმ რისკების ბუნების და დონის დასაფარად, რომლის წინაშეც დგას ან შესაძლოა დადგეს.

აღნიშნული სტრატეგია და პროცესები ექვემდებარება რეგულარულ გადახედვას იმისათვის, რომ შენარჩუნდეს მათიადეკვატურობა ბანკის საქმიანობების ბუნების, მასშტაბის და სირთულის შესაბამისად. რისკის მართვა ხელს უწყობს ბანკის სტრატეგიიდან გამომდინარე რისკების დადგენას, შეფასებას და მართვას. ღირებულების შემცირების ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი არის იმის შესაძლებლობა, რომ აღნიშნული სტრატეგია მხარს არ უჭერს ბანკის მისიას და ხედვას, და ასევე სტრატეგიის შედეგებს. რისკის მართვა ხელს უწყობს სტრატეგიის შერჩევას. სტრატეგიის შერჩევა მოითხოვს კონსტრუქციული გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც მოახდენს რისკების ანალიზს და რესურსების ბანკის მისიისა და ხედვასთან შესაბამისობაში მოყვანას. რისკის მართვის სტრატეგია მხარს უჭერს ბანკის მისიას და ხედვას და გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ბანკმა ვერ შეძლოს თავისი მისიის და ხედვის რეალიზება, ან საფრთხე შეექმნას მის ღირებულებებს სტრატეგიის წარმატებით განხორციელების შემთხვევაშიც. რისკის მართვა ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ სტრატეგია არ შეესაბამებოდეს ბანკის მისიას და ხედვას, ან შერჩეული სტრატეგიის შედეგებს. სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო განსაზღვრავს მოქმედებს თუ არა სტრატეგია ბანკის რისკის აპატიტთან შესაბამისობაში და როგორ ეხმარება ბანკს მიზნების დასახვაში და რესურსების ეფექტურად განაწილებაში. რისკის მართვის სტრატეგია გამომდინარეობს ბიზნეს სტრატეგიიდან, ბიზნეს სტრატეგიის ყველა ფაქტორი გათვალისწინებულია რისკის პროფილის ანალიზის მიზნებისთვის. ბანკი მართავს რისკებს დაცვის სამი ხაზის მოდელის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს კომუნიკაციების გაუმჯობესების ეფექტურ საშუალებას რისკის მართვის და კონტროლის შესახებ არსებითი ფუნქციების და მოვალეობების განსაზღვრის საფუძველზე. დაცვის სამი ხაზის მოდელი აუმჯობესებს ინფორმირებულობას რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შესახებ და ხელს უწყობს რისკის მართვის სისტემების ეფექტურობას.

დაცვის სამი ხაზის მოდელი განასხვავებს რისკის ეფექტურ მართვაში ჩართულ სამ ჯგუფს (ან ხაზს):

- ბიზნეს ფუნქცია – ფუნქციები, რომლებიც ფლობენ და მართავენ რისკებს;
- მონიტორინგის ფუნქცია - ფუნქციები, რომლებიც ზედამხედველობენ რისკებს;
- დამოუკიდებელი ფუნქცია - ფუნქციები, რომლებიც უზრუნველყოფენ დამოუკიდებელ გარანტიას.



თავდაცვის პირველი ხაზი ეხება ბიზნეს ერთეულებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ყოველდღიური ბიზნეს საქმიანობებში. ისინი არიან რისკის მფლობელები და პასუხისმგებელნი არიან თავიანთი ბიზნეს ერთეულების ფარგლებში რისკების იდენტიფიცირებაზე, მართვაზე, მიტიგაციაზე, ანალიზსა და დარეპორტებაზე. ის თანამშრომლობს დაცვის მეორე ხაზთან, რათა განავითარონ რისკების კონტროლის და მიტიგაციის ტექნიკები.

თავდაცვის მეორე ხაზი - ეხება ბიზნეს ერთეულებს, რომლებიც ზედამხედველობას და ხელმძღვანელობას უწევენ დაცვის პირველ ხაზს რისკის მართვის ეფექტური პრაქტიკის დანერგვისას. ის ძირითადად უზრუნველყოფს ორგანიზაციის მასშტაბით რისკის მართვისა და კონტროლის პროცესების ეფექტურობასა და შესაბამისობას.

თავდაცვის მესამე ხაზი - გულისხმობს დამოუკიდებელ შიდა აუდიტის ფუნქციას, რომელიც აფასებს თავდაცვის პირველ და მეორე ხაზებს ზოგადი ან რისკზე დაფუძნებული აუდიტის ჩატარებით რისკის მართვისა და შიდა კონტროლის პროცესების ეფექტურობას, ასევე საერთო მმართველობის პოლიტიკებს და უზრუნველყოფს გარანტირებას სამეთვალყურეო საბჭოსთვის, რომ პოლიტიკებუ, მათ შორის რისკის მართვის პოლიტიკები, ეფექტურია და რომ პოლიტიკები და პროცესები არსებობს და თანმიმდევრულად გამოიყენება.

ეფექტური კომუნიკაცია თავდაცვის სამ ხაზს შორის გადამწყვეტია ბანკში რისკების მართვის წარმატებული და ყოვლისმომცველი პროცესისთვის. თავდაცვის თითოეული ხაზი განსაკუთრებულ როლს ასრულებს რისკების მართვის პროცესში, რომელიც დაკავშირებულია მათ შორის თანმიმდევრული კომუნიკაციით, რაც აისახევა რისკის უკეთეს იდენტიფიკაციას, შეფასებას და მიტიგაციაში.

ბანკის რისკების მართვის პროცესში ძირითადი დაინტერესებული მხარეების ძირითადი როლები და პასუხისმგებლობები შემდეგია:

სამეთვალყურეო საბჭო

- ამტკიცებს რისკის აპეტიტის დოკუმენტს, და რისკის მართვის პოლიტიკას,
- ახორციელებს რისკის ზედამხედველობას რისკის ასპექტების გათვალისწინების მიზნით სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რისკის ურთიერთქმედებების განხილვას ბიზნეს ერთეულების ფარგლებში.

რისკის მართვის კომიტეტი

- განიხილავს რისკის მართვის პოლიტიკებს და რისკის აპეტიტს;
- ამტკიცებს რისკის შეფასებებს, გასცემს დირექტივებს რისკის დამუშავების შესახებ რისკის დონეების შენარჩუნებისთვის განსაზღვრული ტოლერანტობის ზღვრების ფარგლებში და ამტკიცებს რისკის დამუშავების პარამეტრებს;
- უზრუნველყოფს შესაბამისი პროცესების და შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას ადგილზე რისკების დადგენის, შეფასების, გაზომვის, მონიტორინგის და ანგარიშგების მიზნით.

დირექტორთა საბჭო

- იღებს საერთო პასუხისმგებლობას და ანგარიშვალდებულებას რისკის მართვის ფუნქციაზე;
- უზრუნველყოფს სათანადო ბალანსს რისკსა და შემოსავლებს შორის ბანკში რისკის აპეტიტის შესაბამისად;
- უზრუნველყოფს საჭირო რესურსებს რისკის მართვის მიზნების და ამოცანების შესასრულებლად.
- უზრუნველყოს ბიზნესის უწყვეტობის გეგმის განვითარება, განხორციელება და შენარჩუნება. დარწმუნდეს მის ეფექტურობაში პოტენციური შეფერხებების შესამცირებლად ბანკის ოპერაციების, აქტივების და დაინტერესებული მხარეების ინტერესების დაცვის მიზნით.
- უზრუნველყოს ბანკის გაჯანსაღების გეგმის შემუშავება, განხორციელება და შენარჩუნება. დარწმუნდეს, რომ გაჯანსაღების გეგმას ეფექტურად შეუძლია ბანკის ოპერაციების და ფინანსური სტაბილურობის აღდგენა მძიმე სტრესის ან შეფერხების პერიოდში.
- დანერგოს, ზედამხედველობა გაუწიოს და წაახალისოს ძლიერი რისკის კულტურის განვითარება ბანკში;
- კოორდინაცია გაუწიოს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) რისკების იდენტიფიკაციას, შეფასებასა და მართვას. უზრუნველყოს, ბანკის სტრატეგიის შესაბამისობა მდგრადობასთან, ეთიკურ პრაქტიკებთან და რეგულატორულ შესაბამისობასთან;
- უზრუნველყოს, რომ რისკის მართვის პრინციპები ინტეგრირებული იყოს ბანკის სტრატეგიაში, ოპერაციებში და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ყველა დონეზე.
- იღებს ვალდებულებას რისკის მართვის ეფექტურობის მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე.

რისკის ფუნქცია

- ახორციელებს რისკის მართვის (RM) პროგრამის შემუშავებას, განხორციელებას და ადმინისტრირებას. ის ითვალისწინებს რისკის მართვის (RM) პოლიტიკის შემუშავებას და დაცვას, მთავარი რისკების დადგენას, რომლის ანგარიშგება უნდა მოხდეს კორპორატიულ დონეზე, რისკის მართვის პროცესების და პროცედურების, ინსტრუმენტების და საინფორმაციო სისტემების კოორდინაციას, რისკის ანალიზს და დამუშავებას რისკზე პასუხისმგებელ პირებთან, საერთო ინტეგრირებული რისკის პორტფელის გამოთვლას, კორპორატიული რისკების და რისკის პორტფელის შესახებ ანგარიშგებას რისკის მართვის კომიტეტის წინაშე, რისკის მართვის პროგრამის შესრულების მონიტორინგს და ორგანიზაციის რისკის მართვის შესაძლებლობის გაუმჯობესებას კომუნიკაციის და ტრენინგის მეშვეობით.
- რისკის მართვის (RM) შესახებ კომუნიკაციის დამყარება ყველა დონეზე. მონაცემების შეგროვება და რისკის შესახებ ანგარიშების შემუშავება რისკის მართვის კომიტეტისთვის და სხვა პირებისთვის, რომელსაც მიუთითებს რისკის კომიტეტი.
- პროფესიული კონსულტაციის ჩატარება რისკის მართვის შესახებ. არსებული და ახალი რისკის მართვის პრაქტიკის შესახებ რჩევის და დირექტივის მიცემა, რეკომენდაციების გაცემა და სავალდებულო გაუმჯობესებების განხორციელება.
- რაოდენობრივი მეთოდების და მოდელების გამოყენება და შენარჩუნება, რომელიც ხელს უწყობს რისკის მოვლენების (როგორიცაა „მოვლენების ხის მოდელი“) ალბათობის და სიმძიმის შეფასებას.
- რისკების დადგენის, გაზომვის, მონიტორინგის და ანგარიშგების პროცესის ხელშეწყობა;
- რისკის აპეტიტის დოკუმენტის შედგენა / გადახედვა ჯგუფის რისკის აპეტიტთან (RAS) შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- რისკის აპეტიტის დოკუმენტის (RAS) განაწილება/კასკადირება შესაბამის დონეებზე ორგანიზაციაში (ე.ი. „სათამაშო მოედნის“ განსაზღვრა განყოფილებებისთვის);
- ლიმიტის სტატუსის / დარღვევების უწყვეტი გადახედვა / ანგარიშგება და პრევენციული ზომების მიღება რისკის აპეტიტის დარღვევების თავიდან აცილების მიზნით;
- რისკის მართვის დოკუმენტის (RAS) დარღვევების შემთხვევაში, რისკის შემცირების გეგმის შეთავაზება და განხორციელება;
- ბანკში წახალისებების რისკის აპეტიტთან შესაბამისობაში მოყვანა;
- რისკის აპეტიტის, სტრატეგიის და კაპიტალის განანილების შესაბამისობის უზრუნველყოფა ბანკის ფარგლებში (მათ შორის ბიუჯეტირების და ბიზნეს დაგეგმვის ციკლების);
- რისკის კულტურის შეფასება ბანკის სხვადასხვა დონეზე.
- უზრუნველყოს ძლიერი უსაფრთხოების პოლიტიკების, კონტროლების და პროცედურების დანერგვა და შენარჩუნება, რათა დაიცვას ბანკის ინფორმაციული აქტივები, უზრუნველყოს შესაბამისობა რეგულაციებთან და დაიცვას კიბერშემტევებისგან.
- უზრუნველყოს უწყვეტი მონიტორინგი, შეფასება და რისკების შერბილება ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით, რათა ბანკის მონაცემები და სისტემები დაცული იყოს არაავორიზებული წვდომის, დარღვევებისა და შეფერხებებისგან, ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკების შესაბამისად.

რისკის მართვის განყოფილების ორგანიზაციული სტრუქტურა



რისკის აპეტიტი

რისკის აპეტიტის განსაზღვრის პროცესი მიზნად ისახავს ბანკის რისკების მართვის შესაძლებლობების გაზრდას რათა უზრუნველყოს რისკების შესაბამისობა სტრატეგიულ მიზნებთან. რისკის აპეტიტთან დაკავშირებული მიზნები განსაზღვრავს რისკის დონეს, რომელიც მისაღებია ბანკისთვის ქმნის ღირებულების მაქსიმიზაციის შესაძლებლობებს გარკვეულ ფარგლებში, აწესებს რისკების სისტემატურ კონტროლს და იძლევა რისკების დროულად შემცირების საშუალებას.

რისკის აპეტიტის დოკუმენტი (RAS) რისკის მართვის ეფექტური პროგრამის ცენტრალური ელემენტია და დაკავშირებულია ბანკის საერთო რისკის მართვის ფილოსოფიასთან და სტრატეგიულ ამბიციებთან. მკაფიოდ ფორმულირებული რისკის აპეტიტის (RAS) დოკუმენტის შემუშავების მიზანია იმ რისკების დონის და ბუნების ზუსტი განსაზღვრა, რომელიც მისაღებია ბანკისთვის, რომ შეასრულოს მისი მკაფიოდ ფორმულირებული მისია თავისი აქციონერების სახელით იმ შეზღუდვების გათვალისწინებით რაც დაწესებულია აქციონერების, კრედიტორების, მარეგულირებლების და სხვა დაინტერესებული პირების მიერ. რისკის აპეტიტის დოკუმენტის (RAS) საფუძველზე ბანკს შეუძლია განსაზღვროს კონკრეტული დასაშვები ზღვრები თავისი საქმიანობის ფარგლებში და ამ სახით დაუკავშიროს მართვის პროცესები საერთო მართვის პროცესებს.

ბანკის მიერ განსაზღვრული რისკების აღებისა და მართვის ზოგადი პრინციპებია შემდეგია:

- გონივრული რისკის მიღება რისკის შეფასების და კონტროლის გარემოს გათვალისწინებით;
- საუკეთესო პრაქტიკის გამოყენება ბანკის ზომის და სირთულის შესაბამისად;
- პირდაპირი რისკების მართვის გათვალისწინება ბიზნესის დაგეგმვისა და პროექტის განვითარების საქმიანობაში;
- სებ-ის მოთხოვნების და ბანკის აქციონერების მოთხოვნების და მითითებების შესრულება

რისკის აპეტიტის ჩარჩო, უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ და სტრუქტურირებულ მიდგომას იმის შესახებ, თუ როგორ იქმნება, კომუნიკაცია და მონიტორინგი ხდება რისკის აპეტიტის. იგი ხაზს უსვამს პოლიტიკის, პროცესების, კონტროლის და სისტემების მნიშვნელობას, რომლებიც ხელს უწყობენ რისკის აპეტიტის დანერგვას.
RAF მოიცავს რისკის აპეტიტს, ბანკისთვის რელავნატური და მატერიალური რისკების მეტრიკებთან და მათ შესაბამის ლიმიტებთან ერთად. გარდა ამისა, RAF ასახავს მკაფიო როლებსა და პასუხისმგებლობებს როგორც RAS-ის, ისე უფრო ფართო RAF-ის დანერგვის, მონიტორინგისა და ზედამხედველობისთვის.

RAS მოიცავს კაპიტალის მართვასთან დაკავშირებულ მეტრიკებს, როგორიცაა კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი, რაც უზრუნველყოს რომ ბანკს აქვს ადექვატური ბუფერი პოტენციური ზარალის შესამცირებლად. RAS მეტრიკები იყოფა ჯგუფებად (კაპიტალი, ლიკვიდობის რისკი, საკრედიტო რისკი, საბაზრო რისკი, საოპერაციო რისკი, შესაბამისობის რისკი) და ქვეჯგუფად (მაგ. საკრედიტო რისკი ხარისხის, კონცენტრაციის, ფინანსური ინსტიტუტების მიხედვით)

- კაპიტალი/გადახდისუნარიანობა – ბანკი საქმიანობას განახორციელებს საკმარისი და სათანადო კაპიტალის ბაზით, არა მხოლოდ მარეგულირებელი მოთხოვნების შესრულების, ასევე ბანკის დაცვის მიზნით პოტენციური რყევებისგან, ზრდის პოტენციალის შეფერხების გარეშე. ბანკი რეგულარულად ჩაატარებს სტრეს-ტესტებს ადეკვატურობის შენარჩუნების მიზნით.
- ლიკვიდურობა – ბანკი უზრუნველყოფს ლიკვიდურობის მაღალ დონის შენარჩუნებას, რათა მოახდინოს მოკლევადიანი და საშუალოვადიანი ბაზრის მასშტაბით ლიკვიდურობის სტრესული მოვლენების დაძლევა, დივერსიფიცირებული და სტაბილური დაფინანსების წყაროების არსებობა.
- საკრედიტო რისკი – ბანკი მიზნად ისახავს კარგად დივერსიფიცირებულ საკრედიტო პორტფელის შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს დადებით წმინდა შემოსავალს კონსოლიდირებულ დონეზე, მძიმე, მაგრამ რეალისტური სტრესის დროს. ამისათვის, ბანკი ინარჩუნებს ანდერრაიტინგის თანმიმდევრულ სტანდარტებს, რომელიც დამოკიდებულია რისკის აპეტიტზე და არა საბაზრო შესაძლებლობებზე; ბანკი იყენებს სათანადო კონცენტრაციის ლიმიტებს და ახორციელებს მკაცრ მონიტორინგს.
- საბაზრო რისკი – ბანკი უზრუნველყოფს რომ VaR და Stressed VAR შესაბამისად არის დაფარული კაპიტალით. VaR სტრეს სცენარის გათვალისწინებით. ბანკი მუდმივად აკონტროლებს თავის სავალუტო პოზიციას რათა თავი დაიცვას პოტენციური გაუფასურებისგან.
- საოპერაციო რისკი – ბანკი აფასებს მის უნარს გაუძლოს და ჰქონდეს გაჯანსაღების შესაძლებლობა არახელსაყრელი მოვლენების შემდეგ და უზრუნველყოფს კრიტიკული ოპერაციების ფუნქციონირებას სტრესის პირობებში.
- შესაბამისობის რისკი – ბანკი უზრუნველყოფს სრულ შესაბამისობას ყველა რელევანტუ მოქმედ კანონთან, რეგულაციასთან და შიდა პოლიტიკასთან, რათა შეამციროს სამართლებრივი ან მარეგულირებელი სანქციების რისკი.

რისკების მართვა და კაპიტალის განაწილება

ბანკმა შეიმუშავა შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესი, ICAAP ჩარჩო. ICAAP შექმნილია იმისათვის, რომ უზრუნველყუფილი იყო ბანკის უნარი გაუძლოს სხვადასხვა რისკებსა და არასასურველ სცენარებს, რათა შენარჩუნებული იქნას კაპიტალის ჯანსაღი დონე. ნებისმიერი არსებითი ცვლილება ბანკის სტრატეგიაში, ბიზნეს გეგმაში, საოპერაციო გარემოში ან სხვა ფაქტორებში, რომლებიც გავლენას ახდენენ ICAAP-ში გამოყენებულ დაშვებებზე ან მეთოდოლოგიაზე, უნდა იყოს იდენტიფიცირებული და ასახული ICAAP-ში.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი მიუთითებს ზარალის საფრთხეზე, რომელიც გავლენას ახდენს ბანკის მომგებიანობაზე და კაპიტალის პოზიციაზე და წარმოიშვება პარტნიორების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად ბანკის საკრედიტო პოლიტიკა, საკრედიტო სტანდარტი და ფასს 9 გაუფასურების მეთოდოლოგია არეგულირებს სესხის გაცემის პროცესს და მოიცავს საკრედიტო რისკის მართვის პრინციპებს და ქმედებებს სესხის გაცემასთან დაკავშირებული რისკების შესარბილებლად. საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

- საკრედიტო აქტივობის დაგეგმვის და ორგანიზების, და სასურველი საკრედიტო პორტფელის შექმნის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა
- უზრუნველყოს ბანკის კაპიტალისა და სახსრების უსაფრთხო და ეფექტური განაწილება

რისკის მიღების ყველა შემთხვევაში, კლიენტის კრედიტუნარიანობა უნდა შეფასდეს და გაკონტროლდეს საკრედიტო პოზიციის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისად. პორტფელის ხარისხის ანგარიშებს რეგულარულად წარედგინება დირექტორთა საბჭოს. საკრედიტო რისკთან დაკავშირებული კაპიტალის მოთხოვნები გამოითვლება ბანკის მიერ ბაზელი III-ის მოთხოვნების საფუძველზე, სტანდარტიზებული მიდგომის გამოყენებით. მოსალოდნელ ზარალთან დაკავშირებით,

ბანკი გამოთვლის რეზერვებს და მოახდენს აქტივების კლასიფიკაციას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS 9) საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ ბანკი საკრედიტო რისკს თვლის ყველაზე არსებით და ყველაზე მნიშვნელოვან ტიპის რისკად, მონაცემების არარსებობის გამო, საკრედიტო რისკის კაპიტალის მოთხოვნების გამოთვლის მოწინავე მეთოდოლოგიის გამოყენება მეტისმეტი დატვირთვა იქნება ბანკისთვის. ბანკი იყენებს შიდა და გარე სარეიტინგო სისტემებს საკრედიტო რისკის შესაფასებლად, როგორიცაა Moody’s, Fitch და S&P.

უცხოური ვალუტის გაცვლით გამოწვეული საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკიწარმოიშობა გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელიც ზიანს აყენებს კლიენტის გადახდისუნარიანობას.კლიენტის ინდივიდუალური შეფასება ხორციელდება საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისად. გარდა ამისა, გამოიყენება რეგულატორის მიერ განსაზღვრული ლიმიტები და ხორციელდება სენსიტიური ანალიზი.

ღია უცხოური ვალუტის პოზიციის ბალანსი გამოითვლება შემდეგნაირად; რისკების შეფასების რესურსს დამატებული სავალუტო საკრედიტო რისკი (CICR), ამასთანავე, პროცესში ჩართულია დაუცველი უცხოური ვალუტის გათვლები.

კონტრაგენტის საკრედიტო რისკი

კონტრაგენტის საკრედიტო რისკი არის საკრედიტო რისკის ქვე-ჯგუფი და ძირითადად ფასდება საკრედიტო დერივატივებისთვის (ე.ი. ფიუჩერსები, ფორვარდული ხელშეკრულებები, სვოპ- გარიგებები, ოფციონები და ბალანსგარეშე ვალდებულებები წარმოიშობა სხვა მსგავსი კონტრაქტებიდან) CAR-ის 50-ე მუხლის შესაბამისად. კონტრაგენტის რისკი არის რისკი, როდესაც გარიგების კონტრაგენტი არ შეასრულებს ვალდებულებას, გარიგების ფულადი სახსრების საბოლოო ანგარიშსწორებამდე. ბანკის დირექტორთა საბჭო განსაზღვრავს კონტრაგენტის სალიმიტო სისტემას სახაზინო გარიგებებისთვის ბანკის პარტნიორებთან (ბანკები, ფინანსური ინსტიტუტები) მიმართებაში. აღნიშნული ლიმიტები გადაიხედება მინიმუმ წელიწადში ერთხელ და ნებისმიერ დროს, როდესაც იდენტიფიცირდება რელევანტური ინფორმაცია კონტრაგენტის შესახებ.

კაპიტალის მოთხოვნა პილარ 1-ის შესაბამისად გამოითვლება საკრედიტო რისკის მიხედვით, CAR- ის მიერ განსაზღვრული რისკის პოზიციის გამოთვლის ლოგიკის საფუძველზე (თავდაპირველი მეთოდი), ბანკი იყენებს აღნიშნულ მიდგომას პილარ 1-ის შესაბამისად.

ქვეყნის რისკი

ქვეყნის რისკი მიუთითებს პოტენციურ ზარალს, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას (ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა) მოვლენის საფუძველზე, რომელსაც ადგილი ექნება კონკრეტულ ქვეყანაში, სადაც ასეთი მოვლენა შეიძლება გაკონტროლდეს ამ ქვეყნის (მთავრობის) მიერ, მაგრამ არა კრედიტორის / ინვესტორის მიერ. ბანკის ბიზნეს სტრატეგიის შედეგად (მეზობელი ქვეყნების (მაგალითად, აზერბაიჯანი, თურქეთი) ვაჭრობის დაფინანსებისა და სხვა მომსახურებების მქონე კომპანიების მომსახურებით ბანკი დგას ქვეყნის რისკის წინაშე. ბანკის ICAAP განმარტავს ქვეყნის რისკს, თუმცა, როგორც წესი, იგი არ არის საკმარისი იმისათის, რომ მოხდეს დამატებითი კაპიტალის გამოთხოვა.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ბანკის პოტენციური ზარალის რისკი, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მომგებიანობაზე და კაპიტალის პოზიციაზე. საოპერაციო რისკი შესაძლოა წარმოიქმნას არაადეკვატური შიდა პროცესებიდან ან სისტემებიდან, გარეშე მოვლენებიდან, თანამშრომლის არაადეკვატური საქმიანობიდან, საკანონმდებლო დებულებების, კონტრაქტების და შიდა რეგულაციების დარღვევის ან შეუსრულებლობის შედეგად. საოპერაციო რისკი მოიცავს იურიდიულ რისკს, მაგრამ გამორიცხავს რეპუტაციულ და სტრატეგიულ რისკს.

საოპერაციო რისკის მართვის მიზანია ბანკის საოპერაციო რისკის პოზიციის ფარგლების დადგენა, მისი გამომწვევი ფაქტორების განსაზღვრა, კაპიტალის განაწილება და ტენდენციების დადგენა შიდა და გარე ფარგლებში, რომელიც ხელს შეუწყობს მის პროგნოზირებას. ბანკისთვის მნიშვნელოვანია მიიღოს ზომები თაღლითობის პრევენციისთვის, შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ინტეგრაცია და შეამციროს შეცდომები ტრანზაქციებში. ამ მიზნისთვის ბანკმა შეიმუშავა და დანერგა თაღლითობის რისკების მართვის პროგრამა. რომლის მიზანია ისეთი კორპორატიული კულტურის განვითარება და გარემოს შექმნა, რომელიც შეამცირებს თაღლითობის მოხდენის ალბათობას.

შიდა კონტროლი ჩვეულებრივ ბანკის ყოველდღიური საქმიანობაშია გაერთიანებული და განსაზღვრულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ (შესაძლებლობების ფარგლებში) ბანკის საქმიანობა იყოს ეფექტური და ეფექტიანი, ინფორმაცია იყოს საიმედო, დროული და სრული და ბანკმა შეასრულოს და დაიცვას მოქმედი კანონები და რეგულაციები. იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება საოპერაციო რისკის დადგენა და მართვა, შესაძლოა გაიზარდოს იმის ალბათობა, რომ ზოგიერთი რისკი არ იქნება აღიარებული და გაკონტროლებული.

ბანკი ახორციელებს ადეკვატურ საოპერაციო რისკის შეფასების პროცედურებს მანამ, სანამ დანერგავს ახალ პროდუქტს, საქმიანობას, პროცესს ან სისტემას, ასევე სანამ გამოიყენებს ძირითად საბანკო და IT სისტემებთან დაკავშირებულ საქმიანობებს.

გარდა ამისა, ბანკი არბილებს საოპერაციო რისკებს ქვემოთ მოცემული მკაცრი წესების საფუძველზე,

სტრუქტურულ ერთეულებს შორის მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გამიჯვნის და შიდა კონტროლის და ზედამხედველობის სისტემის ფარგლებში. ბანკს აქვს საოპერაციო რისკების შეფასების ჩარჩო, რისკის მართვის პოლიტიკა, საოპერაციო რისკის მართვის პროცედურა, საოპერაციო რისკის შეფასების მეთოდოლოგია და თაღლითობის მართვის პოლიტიკა. ბანკი იყენებს ისეთ ინსტრუმენტულ საშუალებებს საოპერაციო რისკის იდენტიფიკაციისა და შეფასებისთვის, როგორიცაა მონაცემთა შეგროვება, აუდიტის დასკვნები, რისკის კონტროლის თვითშეფასება, რისკის ძირითადი ინდიკატორები და სხვა რისკების დროულად დადგენის და შერბილების მიზნით.

კაპიტალის მოთხოვნები კაპიტალის საერთო ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცედურების (ICAAP) შესაბამისად გამოითვლება საბაზო ინდიკატორის მიდგომის გამოყენებით, რომელიც გამოიყენება პილარ 1-ის კაპიტალის გამოსათვლელად.

საბაზრო რისკი

უცხოური სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა იმ მდგომარეობიდან, როდესაც შესაძლოა, ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილება მოხდეს უცხოური გაცვლითი კურსის ცვალებადობის შედეგად. ბანკი ადგენს შიდა ლიმიტებს ღია სავალუტო პოზიციისთვის, რომელიც ასევე იცავს რეგულაციებით გათვალისწინებულ ლიმიტებს . პიზიციების მონიტორინგი ხორციელდება ყოველდღიურად.
ბანკი კაპიტალის მოთხოვნის გამოთვლას სავალუტო პოზიციებისთან დაკავშირებით ახდენს რისკის ქვეშ მყოფი ღირებულების (VaR) მეთოდის საფუძველზე, 99,9% სანდოობის დონის გათვალისწინებით

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი ნიშნავს ფინანსური ზარალის (ზიანის) რისკს, რომელიც წარმოიქმნება საპროცენტო საბანკო პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკი ფასდება ყოველთვიურად. საპროცენტო პოზიციები და ხარვეზები („გეპები“) წარმოდგენილია გადაფასების პერიოდებით თითოეულ რელევანტურ ვალუტასთან დაკავშირებით.

ბიზნეს რისკი

ბიზნეს რისკი განისაზღვრება რისკად, რომელიც დაკავშირებულია მოგების ან კაპიტალის პოტენციურ

შემცირებასთან, რომელიც გამოწვეულია ცვლილებებით სამუშაო გარემოში ან მცდარი კორპორატიული გადაწყვეტილებებით, გადაწყვეტილებების არასათანადოდ შესრულებით ან კონკურენტულ გარემოში ცვლილებებზე არასათანადოდ რეაგირებით. ბანკი სტრატეგიული დაგეგმვის და ბიუჯეტირების პროცესს თვლის რისკის მართვის უმნიშვნელოვანეს ნაწილად.

ბანკმა შეიმუშავა დეტალური პროცედურები და რეგულაციები ბიუჯეტირების პროცესების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს ბიუჯეტის გონივრულად დაგეგმვას ბანკის ბიზნეს სტრატეგიის შესაბამისად და ასევე განსაზღვრავს პროცედურებს ბიუჯეტის რეგულარულ კონტროლთან და გადახედვასთან დაკავშირებით. ბიზნეს რისკთან დაკავშირებით, საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნები არ გამოითვლება. ვინაიდან რისკი განისაზღვრება მატერიალურ ზიანად, ბანკი კაპიტალის მოთხოვნებს გამოთვლის ბიზნეს რისკის დასაფარად ICAAP შესაბამისად.

ვინაიდან ბანკს შეზღუდული მონაცემთა ბაზა აქვს შეფასების მიზნებისთვის, შემუშავებულია გამარტივებული მეთოდოლოგია, რომელიც აფასებს დევიაციებს ბიუჯეტიდან.

საკრედიტო კონცენტრაციის რისკი

საკრედიტო კონცენტრაციის რისკი განიმარტება როგორც რისკების განაწილება მომხმარებლებზე როდესაც კონტრაგენტების შედარებით მცირე ჯგუფის ან მსხვილი ინდივიდუალური კონტრაგენტების მიერ ვალდებულებების პოტენციური შეუსრულებლობა გამოწვეულია საერთო ძირითადი მიზეზით და შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ბანკის საქმიანობის „ჩვეულებრივ რეჟიმს“. ბანკი აკონტროლებს კონცენტრაციის რისკს ლიმიტების სისტემის მეშვეობით, დიდ თანხიან სესხებზე და გარკვეულ ინდუსტრიებზებანკი რეგულარულად ახორციელებს პორტფელის კონცენტრაციის მონიტორინგს HHI ინდექსის გამოთვლასს მთლიანი პორტფელისთვის კონცენტრაციის რისკის კაპიტალის რეზერვების შექმნა ხდება მარეგულირებელის მოთხოვნის მიხედვით, პილარ 2-ის შესაბამისად.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი განისაზღვრება, როგორც ბანკის უუნარობა შეასრულოს თავისი ფინანსური ვალდებულებები.
ლიკვიდობის რისკი მოიცავს როგორც დაფინანსების, ასევე ბაზრის ლიკვიდობის რისკს:

- დაფინანსების ლიკვიდურობის რისკი დგება მაშინ, როდესაც ბანკს არ შეუძლია შეასრულოს თავისი ვალდებულებები, რადგან არ შესწევს უნარი მოიპოვოს ახალი დაფინანსება;

- ბაზრის ლიკვიდობის რისკის დგება მაშინ, როდესაც ბანკს არ შეუძლია გაყიდოს თავისი აქტივები ადვილად საბაზრო ფასად, ზარალის აცილების გარეშე არალიკვიდური ბაზრის გამო.

ლიკვიდობის რისკის გაზომვა:

ლიკვიდობის რისკის გაზომვის მთავარი საშუალებებია ლიკვიდურობის პოზიციების დადგენა და სტრეს ტესტირება.

ლიკვიდურობის პოზიციები განისაზღვრება ყოველთვიურად სტანდარტიზებული ანგარიშგების პაკეტის მეშვეობით.

სტრეს ტესტირება ეფუძნება ბანკის ფულადი სახსრების შემოდინებას და გადინებას 6 თვიან ინტერვალში. შემდეგ მიზნობრივი ლიკვიდობის მოთხოვნები გამოითვლება სტრეს სცენარების გამოყენებით, მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებებზე და გადინებებზე და ლიკვიდობის ბუფერზე.

ლიკვიდობის რისკის მართვა:

კონტროლისთვის, რადგან ბანკს მეტი დრო აქვს სწორი ზომების მისაღებად. აქედან გამომდინარე ლიმიტები მოკლევადიანი ლიკვიდობის კუმულაციურ „გეპებზე“ ჩვეულებრივ უფრო კონსერვატულია გრძელვადიან „გეპებთან“ შედარებით.

მუდმივად ცვალებადი ფინანსური ბაზრები პირდაპირ გავლენას ახდენენ ბანკისთვის დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობაზე. აქედან გამომდინარე ლიკვიდობის და დაფინანსების წყაროების მუდმივი მონიტორინგის შემთხვევაშიც კი, ბანკი აღიარებს, რომ გაუთვალისწინებელმა მოვლენებმა (მაგალითად, ეკონომიკური ან საბაზრო პირობების ცვლილება, სესხის პორტფელის ხარისხის გაუარესება ან ნებისმიერი სიტუაცია, რომელიც არ ექვემდებარება ბანკის კონტროლს) შესაძლოა პოტენციურად გამოიწვიოს მოკლე ან გრძელვადიანი კრიზისული სიტუაცია. ბანკმა უნდა შეაფასოს პოტენციური ლიკვიდურობის რისკი და მოამზადოს მკაფიო სამოქმედო გეგმა ლიკვიდურობის კრიზისთან დაკავშირებით.

დაფინანსების ლიკვიდობის რისკის შესარბილებლად ბანკმა შექმნა მაღალი ხარისხის ლიკვიდურობის ბუფერი, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას გადახდის ვალდებულებების შესასრულებლად, ჩვეულებრივი საბანკო საქმიანობის რეჟიმში, ახალი დაფინანსების მოპოვების გარეშე. ბანკი დამატებით უზრუნველყოფს მისი დაფინანსების დივერსიფიკაციას და იმას, რომ მისი დაფარვის ვადები არ შექმნის მნიშვნელოვან გარღვევებს.

ბანკს აქვს წვდომა საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) რეფინანსირების საშუალებებზე მისი ლიკვიდობის შესანარჩუნებლად ლარში.

ბანკმა შეიმუშავა სათანადო წესები ლიკვიდობის რისკების მართვისთვის, რომლებიც მითითებულია ლიკვიდობის მართვის პოლიტიკაში და ლიკვიდობის მართვის პროცედურაში.

ლიკვიდობის შესახებ ანგარიშები რეგულარულად წარედგინება ALCO-ს.

სტრატეგიული რისკი

